# ქუჯი

"... და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა"

N 12, ოთხშაბათი 16-22 მაისი, 2001 წელი

ფასი 40 თეთრი



**ტროპარი წმიდისა დიდისა თამარისი**

წმიდათა შორის საკვირველო, კეთილმორწმუნეო მეფეო თამარ, რომელმან კლდეთა ზედა მაღალთა აღაშენენ საყდარნი სავედრებლად ღმრთისა, ლოცვითა შენითა განაძლიერე მხედრობანი ქრისტეს მოყვარისა ქართველთა ერისანი, ხოლო მარხვენითა შენითა დაამხვენ სპანი აგარიანთანი, მისითა მეოხეობითა, ქრისტე ღმერთო, აცხოვნენ სულნი ჩვენნი (14 მაისი).

## ოლღა დემურია-კოსტავა:

...ამას წინათ მომაკითხეს, ჩვენო რაღაცა გაერთიანება გვაქვს და მიმართვა დაგვიწერეთო. მე ვუთხარი, მანანასთან რა ურთიერთობა გაქვთ-მეთქი. თურმე ესენი ცალკე არსებობენ...



## საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს!

ყველას, ვინც კვლავ ინარჩუნებს მოქალაქეობრივ ღირსებას, ქვეყნის გადარჩენის იმედსა და სურვილს, ვიწვევთ საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებულ საერთო სახალხო შეკრებაზე – 2001 წლის 26 მაისს, 13 საათზე, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე (სასტუმრო "ივერიის" მიმდებარე ტერიტორია).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო
საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა

## მანანა არჩვაძე-გამსახურდია:

დღეს საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო იდეოლოგია. სახელმწიფოს, რომელსაც იდეოლოგია არ გააჩნია, არსებობა არ უწერია. სწორედ ამის შედეგი გახლავთ ის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დღეს სახეზე გვაქვს, ასევე ძალადობით და იარაღით მოსული უკანონო ხელისუფლების მიზანს არ წარმოადგენს სახელმწიფოს აღმშენებლობა, მისი პოლიტიკა დამყარებულია სახელმწიფოს ძარცვასა და ვალის გახანგრძლივებაზე გვ.3

ტარიელ ფუტკარაძე:

...საქართველო უსუსური აღმოჩნდა. ევროპამ პოზიციები დათმო. ისტორიული ტაო-კლარჯეთი თურქეთს დარჩა, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები — რუსებს; ბათუმი ისევ საზიარო ზონად — პორტო-ფრანკოდ, ხოლო ბათუმის ოლქი ყველასათვის საპლაცდარმო ავტონომიად გამოცხადდა... სსრკ-ს დაშლის შემდეგ პუტჩის გზით მოსულმა საქართველოს უკანონო ხელისუფლებამ, უფრო ზუსტად, მისმა მემკვიდრემ, 11 ოქტომბერს არჩეულმა პარლამენტმა, ერთ-ერთ პირველსავე სხდომაზე რატიფიკაცია გაუკეთა ჰაერში გამოკიდებულ ყარსის ხელშეკრულებას. ამრიგად, თურქეთისა და სხვა მოძალადე ქვეყნების დღის წესრიგში ისევ აქტიურად დადგა ბათუმში პორტო-ფრანკოს და თავისუფალი ეკონომიკური ზონის ამოქმედების საკითხი გვ.3

**ედუარდ შევარდნაძე საკუთარ თავს ამხელს და თავის თანამოსაქმეეზსაც:** 12 მაისს ე.წ. პარლამენტში "სტუმრობისას" მან განაცხადა:

1. "ქვეყანაში არსებულმა კორუფციამ მძიმე დაღი დაასვა ქვეყანის საბიუჯეტო პოლიტიკასაც; ამ სფეროში უამრავი ნაკლი და მანკიერებაა, რისი დამალვაც ნამდვილად აღარ შეიძლება!"
2. "გოგი თოფაძე, ჩაიხედე შენს სინდისში და თქვი როგორ მოხვედი ბიზნესში, ფრანგ პარტნიორთან მე არ დაგაკავშირე?"
3. ...ანდა, შენ, დავით გამყრელიძე, საიდან მოხვედი ბიზნესში, ძმაო, ახლა რომ ბრალს გვდებ?!. ან, თქვენ, ვინც აქ ზიხართ, პარლამენტში და მთავრობაში ჩემით არ მოხვედით?!.

**"ქუჯის" კომენტარი:** კორუფცია არსებული ხელისუფლების ცხოვრების წესია - ეს არც აქამდე იყო დაფარული! დღეს როცა შევარდნაძის პოლიტიკა სამარცხვინოდ იძირება მის მიერვე შექმნილ ჭაობში, შევარდნაძის შვილობილი "ბაყაყები" მარჩენალს ა თებენ...

პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა: ფაქტობრივი ხელისუფლების ყველა წევრია არსებული უკანონობის ავტორი...

**ვისი დახმარებით დაამხეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძემ, ცრუპარტიებმა და ქართველმა კრიმინალებმა** გვ.3

**საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა განცხადებები საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით** გვ.5

## ლანჩანოს სასწაული

ბარძიმში მერვე საუკუნიდან სასწაულად შემონახული ქრისტეს ხორცისა და სისხლის შესახებ გვ.6



## ლ ე ვ ა ნ დ უ მ ბ ა ძ ე:

მამულო ჩემო! მერამდენედ უნდა ვიტირო, ან მერამდენედ ჩაქცეულო ჩემო ქვითკირო?! გვ. 6

გასულ კვირას ქუთაისში ჩამოასვენეს საბერძნეთში არალეგალურად მიმავალი რამდენიმე ქალის ცხედარი; ქალები ბულგარეთის მთებზე გადასვლისას გაიყინენ... თვითმხილველებმა ასევე თქვეს, რომ რამდენიმე კაცი, მათ შორის და-ძმაც, ბულგარეთის უფსკრულებში ჩაიჩეხნენ...

**შალვა ნათელაშვილი:**

"თავისუფლად შემეძლო გავსულიყავი დიპლომატიურ არენაზე რუსეთის სახელით..." გვ. 5-7



# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ინფორმაცია

2001 წლის 5 მაისს თბილისში, კოლხურ კოშკში, ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. საქართველოს რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ (მომხს. დეპუტატი შალვა ამბროლაძე);
2. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ პროკურატურის გამოძიებულის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის ერთობლივი განცხადება;
3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებისა და პარლამენტებისადმი, ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების, გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოსადმი;
4. სხვადასხვა.

საქართველოს რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ მოხსენებაზე [illegible]

უზენაესი საბჭოს სესიამ დაადგინა [illegible] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის ერთობლივი განცხადება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ.

სესიამ მიიღო მიმართვა მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებისა და პარლამენტებისადმი, ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების, გაეროს, ეუთოს და ევროსაბჭოსადმი, რომელსაც ქვე გთავაზობთ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
## მიმართვა

**მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს**

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში, საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერით, გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა «მრგვალმა მაგიდამ — თავისუფალმა საქართველომ». უსისხლოდ დაემხო კომუნისტური რეჟიმი.

სახელმწიფო ხელისუფლებაში მოსულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1991 წლის 31 მარტს ჩაატარა საერთო-სახალხო რეფერენდუმი და ამ რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1991 წლის 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 61,27%-მა, აქედან 97,73%-მა ხმა მისცა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველი მუხლით, «საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია». საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ მანძილზე აფხაზეთი იყო მისი განუყოფელი ნაწილი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო და მართლმადიდებლური ქრისტიანობის ცენტრი. აფხაზეთშია საფლავი ქრისტეს მოციქულისა და მონაფის, წმიდა სვიმონ კანანელისა.

რუსეთის იმპერიამ მიზანმიმართული მიგრაციებით ხელოვნურად შექმნა ფონი აფხაზეთის სადავოდ გახდისა და დანერგა ტერმინი - «აფხაზეთის ტერიტორია».

კომუნისტურმა რეჟიმმა შექმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. მუდმივად აღვივებდა შუღლს მკვიდრ მოსახლეობასა და ეროვნულ უმცირესობას შორის.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით (ძირითადი კანონით) ავტონომიურ რესპუბლიკებს მიენიჭათ უფლება, ჰქონდეთ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, შესაბამისობაში მოყვანილი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან (ძირითად კანონთან); აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ქართულთან ერთად სახელმწიფო ენად ჰქონდეს აფხაზური ენაც; ავტონომიური რესპუბლიკების თავმჯდომარეები წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს და, შესაბამისად, თანამდებობის მიხედვით შედიან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში; ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით შედიან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში.

1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოს რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის (კერძოდ, რუსეთის ფედერაციის) სამხედრო ძალების დახმარებით განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება. ქვეყნიდან განდევნილ იქნა პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო და მთავრობა. ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა მოსკოვის კრემლის სატელიტმა კრიმინალურმა ხუნტამ, რომელმაც გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და შექმნილი კონსტიტუციური ვაკუუმით საშუალება მისცა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, განევითარებინა სეპარატისტული პოლიტიკა კრემლის სცენარის მიხედვით.

1992 წლის 14 აგვისტოს, არძინბასა და შევარდნაძის მიერ მოწყობილი პროვოკაცია მიზნად ისახავდა აფხაზეთში ომის გაჩაღებას და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ამ ნაწილის რუსეთის ფედერაციისათვის მიერთებას. ამავე მიზანს ემსახურებოდა 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის, 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის, 1993 წლის 27 ივლისის სოჭის, 1994 წლის 4 აპრილის მოსკოვის, 2000 წლის 11 ივლისის სოხუმის შეთანხმებები, რომლებიც 2001 წელს მოსკოვმა დააგვირგვინა ე.წ. გამარტივებული სავიზო, ანუ უვიზო რეჟიმის შემოღებით და, ფაქტობრივად, მოახდინა აფხაზეთის ანექსია.

ამჟამად რუსეთის ფედერაციას ე.წ. «სამშვიდობო ძალებით» ოკუპირებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი.

საქართველოს რესპუბლიკის ხელახალი და სრული ოკუპაცია-ანექსიისათვის რუსეთის ფედერაციას შევარდნაძის ხუნტის მიერ შექმნილი აქვს ყველა პირობა: 1. საქართველო დსთ-ს წევრია; 2. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს მოხსნილი აქვს საოკუპაციო-სამხედრო ძალის სტატუსი; 3. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაკანონებულია 25 წლით.

მოგმართავთ!

საქართველოს რესპუბლიკას ჰყავს კანონიერი ხელისუფლება — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელიც იურიდიულად აგრძელებს თავის მოღვაწეობას. დღეს საქართველოს რესპუბლიკაში ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობაა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დაეყრდნო 1992 წლის 13 მარტის დადგენილებას, სადაც ნათქვამია: «ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის, პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ» და 2001 წლის 24 თებერვალს მიიღო დადგენილებები შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების მიერ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლებასთან დადებული ყველა ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო სამხედრო ძალის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ.

შევარდნაძე, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ძალის მეშვეობით განხორციელებულ საქართველოს რესპუბლიკის მესამე ოკუპაცია-ანექსიას, რომელმაც 1993 წლის 31 დეკემბერს ფიზიკურად გაანადგურებინა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების დაცვის გარანტი, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მანამ, სანამ თავის ხუნტასთან ერთად ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სათავეში, არამარტო კავკასია იქნება მუდმივი დესტაბილიზაციის კერა, არამედ უმართავ ქაოსში ჩაეფლობიან შავი ზღვის აუზის ქვეყნებიც, რადგან უკონტროლოდ და ათასი ჯურის დამნაშავეთა სათარეშოდაა მიტოვებული შავი ზღვის საქართველოს რესპუბლიკის აკვატორია.

ვიმედოვნებთ, დაგვეთანხმებით, რომ ხუნტის მხარდაჭერა შეურაცხყოფს მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიის პრინციპებს და გამოგვიცხადებთ თანადგომას, რათა საქართველოს რესპუბლიკაში ფაქტობრივად აღდგეს კანონიერი ხელისუფლება და შევარდნაძემ და მისმა ხუნტამ უპირობოდ დატოვოს უზურპირებული ხელისუფლება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარე დავით გოგაძე

## საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერის – ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის სესიაზე 2001 წლის 5 მაისს

ბატონო დეპუტატებო!
პატივცემულო სტუმრებო!

ჩემი დღევანდელი გამოსვლის მიზანი არ გახლავთ კრიტიკა ან დაპირისპირება მომხსენებელთან, მსურს დავაფიქსირო ჩემი პოზიცია განხილულ საკითხებთან მიმართებაში და განვიხილო სხვა პოლიტიკურ ჭრილში. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ პოლიტიკური მოვლენები უნდა განიხილოს ისე, რომ ჩაჯდეს მკაცრ ჩარჩოებში მიმდინარე სიტუაციის გათვალისწინებით. თუ რას შემოგვთავაზებს ფაქტობრივი ხელისუფლება, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ის შემოგვთავაზებს იმ პირობებს, რომელიც გაუხანგრძლივებს ხელისუფლებაში ყოფნას. ჩემი გამოსვლის მიზანია საკითხის გამძაფრება, ვინაიდან სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობა ჩვენს ხელთაა. 1992 წლის 6 იანვრიდან დღემდე დავრწმუნდით, თუ რა პოლიტიკური მიზნები და შესაძლებლობები გააჩნია ხუნტას საქართველოს ტერიტორიასთან და მოსახლეობასთან მიმართებაში. ათი წლის მანძილზე ვერ შექმნეს სახელმწიფო სტრუქტურა, დღეს ირჩევენ სახელმწიფოს მართვის მოდელს ("ფრანგულს", "რუსულს", საპარლამენტოს თუ საპრეზიდენტოს და სხვ.), დღეს აყენებენ "დანუნებული" სახელმწიფოს მართვის იმ მოდელს, რომელსაც დღემდე აკრიტიკებდნენ.

საქართველოში არსებული დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ჩემი დამოკიდებულება რადიკალურია, ხუნტა თავად უნდა წამოვიდეს კანონიერი ხელისუფლებისკენ და არა ჩვენ – მათკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი და უკანონო ქმედების თანამონაწილე გავხდებით. სახელმწიფოში არსებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა გამოუვალი მდგომარეობა შექმნა: ათი წლის მანძილზე ხუნტამ ჯერ "დემოკრატიის" ნიღბით დაიწყო სპეკულირება, შემდგომ "რეფორმებს" ამოეფარა, რეფორმატორი ბალცეროვიჩი მოიწვია, რომელსაც საქართველოს ეკონომიკა რამდენიმე თვეში უნდა აეღორძინებინა. მან შესანიშნავად აუღო ალღო ხუნტის ჩანაფიქრს და დროზე გაეცალა, სამაგიეროდ, საქართველოში დააფიქსირა ზენიტში აყვანილი კორუფცია! ამჯერად კრიზისიდან გამოსავალი "იპოვეს" მინისტრთა კაბინეტის შემოღებით, რომელიც მიზნად ისახავს არა სახელმწიფოს გადარჩენას, არამედ შევარდნაძის რეჟიმის გახანგრძლივებას.

ხუნტა რომ ჩვენს მოდელს აირჩევდა, ჩემთვის ცნობილი გახდა ჯაბა იოსელიანის ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას, რომელიც განამტკიცა ა.ასათიანმა I არხზე გამოსვლისას. დიქტორმა ი.გრიგოლიამ სამართლიანად შენიშნა: "ბატონო აკაკი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მოქკავშირის სახელით საუბრობთ". მართლაც, მოქკავშირი გარეშე პიროვნებების გზით აფიქსირებს საკუთარ მიზნებსა და პოზიციას. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში ისევ ერთპარტიული სისტემაა, მხოლოდ როლები ისეა გადანაწილებული, რომელიც გაუცნობიერებელ პიროვნებას დროებით ილუზიას შეუქმნის მრავალპარტიულობისას, მაგრამ საერთო საქმიდან გამომდინარე, ერთი პრინციპი მოქმედებს თავის გადარჩენისა, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს.

შემდეგი საკითხი ეხება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას. ზოგიერთებს მსურს შევახსენო, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეიტანა შესაბამისი შესწორებები და დამატებები, რომელიც აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რაც სახელმწიფოს გარდამავალი პერიოდის მართვის სისტემას შეეხებოდა. იმ პერიოდში ამოქმედდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია სახეშეცვლილი ფორმით ახალი კონსტიტუციის მიღებამდე. რომ არა 1990-1991 წ.წ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ვერ შევინარჩუნებდით ვერც აფხაზეთს, სამაჩაბლოს და სხვა ავტონომიურ წარმონაქმნებს, რომლებიც ნელი მოქმედების ნაღმების სახით შექმნა ბოლშევიკურმა რუსეთმა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიზანია, არ დავუთმოთ ხუნტას და მის დამცველებს ეს უდიდესი მონაპოვარი, ასევე არ მივცეთ შესაძლებლობა ცრუ ინფორმაციის გავრცელებისა ახალი კონსტიტუციის შექმნასთან დაკავშირებით, რითაც "იმედს მისცემენ" დევნილებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაბრუნებისა, რომელიც ასევე დროის გახანგრძლივებას ისახავს მიზნად.

მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ზერელე და აფიშირებული განცხადებების გაკეთებისა. მკაცრად შევაფასოთ დღევანდელი სიტუაცია და მივაღწევთ სანადელ მიზანს – კანონიერების აღდგენას. თუ განვიხილავთ თეორიულ დონეზე და არ შევაფასებთ ისე, როგორც ეკადრება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, მაშინ ეს იქნება კონფერენცია და არა სესია.

ხუნტა მაქსიმალური კრიზისის პერიოდშია. მივცეთ გამოსასწორებელი პერიოდი? შექმნან ახალი კონსტიტუცია? ეს ხომ აბსურდი და ღალატია ერის წინაშე. ნუთუ ათი წლის განმავლობაში ექსპერიმენტების ჩატარება საქართველოს მოსახლეობაზე საკმარისი არ აღმოჩნდა?! საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს იცავდა მის მიერ არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. კანონიერების ათვლა იწყება 1990 წლის 28 ოქტომბრიდან და არა ხუნტის მიერ შეთხზული თარიღებიდან. დღეს ხუნტა ცდილობს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას, ცდილობენ მოახდინონ ე.წ. პარლამენტის სხდომების მოწვევის რეგისტრაცია. რომელი მოწვევის სახელითაც არ უნდა ჩაატარონ ე.წ. სხდომები, ამით კანონიერებას ვერ შესძენენ, ისინი არიან უზურპატორები, არ ძალუძთ სახელმწიფოს მართვა, რომელთაც საქართველოს მოსახლეობა უკიდურეს კრიზისამდე მიიყვანეს საკუთარი კეთილდღეობის ხარჯზე. ჩვენ ის ძალა ვართ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და ხელისუფლების სახით, რომელსაც ძალუძს საქართველოში პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისის დარეგულირება, ეროვნული იდეოლოგიის შექმნა, ჩაბარებული ტერიტორიების დაბრუნება და სხვა მრავალი პრობლემის დადებითად გადაწყვეტა, რომლის წინაშეც დღეს ქართველი ერი დგას.

შემდეგი საკითხი ეხება აფხაზეთის დაბრუნების პრობლემას. აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში ჩვენი პოზიცია დაფიქსირებულია ერთპიროვნულად ჯერ კიდევ 1992 წლის სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალების შემდგომ, როდესაც ხუნტამ გაუქმებულად გამოაცხადა 1990-1991 წ.წ. კონსტიტუცია და აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია, რომლის საფუძველზეც საშუალება მიეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ე.წ. ხელმძღვანელობას, 1925 წლის კონსტიტუციის საფუძველზე აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოეცხა-დებინა. საინტერესოა, რით ახსნის ხუნტა იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმდა აფხაზეთთან მიმართებაში, დაგომისიდან დაწყებული – მოსკოვით დამთავრებული. ეს ყოველივე ხომ აფხაზეთის ინტერესებს ემსახურებოდა! ზედმეტად მიმაჩნია დამოწმება გაეროსა და ჟენევის წარმომადგენლებისა, თუ ისინი გამოდიოდნენ, როგორც სამშვიდობო ძალები, მაშინ როგორ დაუშვეს 1991-1992 წ.წ. კანონიერი ხელისუფლების დამხობა, რასაც არ მოჰყვებოდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების ჩაბარება. ხუნტამ 1994 წლის 4 აპრილს, მოსკოვში ცნო აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რა კანონის საფუძველზე ჩაერთო გაერო და მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთაც ჩაბარების პროცესთან დაკავშირებით არავითარი განაცხადი არ გაუკეთებიათ. მე პირადად არავითარ იმედებს არ ვამყარებ არც გაეროსა და სხვა ორგანიზაციებზე, ვინაიდან ეს მათი პრეროგატივა არ გახლავთ. არსებობს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლითაც დაცულია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა.

აქვე მსურს დავამატო, როდესაც საუბარია აფხაზეთის ტერიტორიის დაბრუნებაზე, ხუნტა არ აღნიშნავს, რომ სრულიად საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ და არა მხოლოდ აფხაზეთი, სამაჩაბლო, აჭარა. განა შეიძლება ხუნტამ შეიმუშაოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების დაბრუნების მექანიზმები, როდესაც თავად გაასხვისა, ეს გახლავთ აბსურდული განცხადება, მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა, რათა იმედიანად განაწყოს დევნილი მოსახლეობა, რომ დაუბრუნდება კანონიერ საცხოვრისს. ეს არ მოხდება, სანამ საქართველოში არ აღდგება კანონიერი ხელისუფლება და არ დაიწყებს ფუნქციონირებას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია. ჩემი სიტყვა მსურს შევაჯამო: დღეს საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო იდეოლოგია. სახელმწიფოს, რომელსაც იდეოლოგია არ გააჩნია, არსებობა არ უწერია. სწორედ ამის შედეგი გახლავთ ის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დღეს სახეზე გვაქვს, ასევე ძალადობით და იარაღით მოსული უკანონო ხელისუფლების მიზანს არ წარმოადგენს სახელმწიფოს აღმშენებლობა, მისი პოლიტიკა დამყარებულია სახელმწიფოს ძარცვასა და ვადის გახანგრძლივებაზე.

ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ გამოვიყენოთ და ვისარგებლოთ შექმნილი კრიზისით, რომ დროზე მივაღწიოთ საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენას.

# ვისი დახმარებით დაამხეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძემ, ცრუპარტიებმა და ქართველმა კრიმინალებმა

## ქართული წარმომავლობის პუტჩისტთა თვითმხილებები:

ჯაბა იოსელიანი

### სამი განზომილება

(თბილისი, 1999 წელი, მეორე გამოცემა)

გვ. 48. «კიტოვანი გვპირდება ავტომატებს — სიგუასთან ერთად ხშირად აკითხავს რუსების შტაბს».

გვ. 73: «კიტოვანი გვარდიელებით აკომპლექტებს თავდაცვის სამინისტროს, რომელიც მხოლოდ ნომინალურად არსებობს. ვილაცა საშა — რუსი პოლკოვნიკი დაჰყვება კონსულტანტად (ეს საშა კიტოვანის მუდმივი კონსულტანტი იყო ჯერ კიდევ არჩევნებამდე; გადამოწმებული ინფორმაციით, საშა იყო გრუ-ს თანამშრომელი).

გვ. 112. «მოსკოვში ყოფნისას სიგუამ და კიტოვანმა (ერთმაც და მეორემაც) მოინახულეს შევარდნაძე».

«ქალაქში სიმშვიდეა. ღამის გასათევად ბათუმში გადავდივარ. ბარემ ასლანს მოვინახულებ, მადლობას გადავუხდი. ამას წინათ დიდად დამასაჩუქრა: 400 ახალთახალი რუმინული ავტომატი, 20 ყუმბარსატყორცნი თავისი ყუმბარებით — დღეს ეს პირდაპირ ფანტასტიკაა. მხედრიონის მთავარი ბირთვი შეიარაღებული მყავს. თენგიზებს 200 ავტომატისა და ტყვია-წამლის მეტი არაფერი მოუციათ.

---

თამაზ დუმბაძე

### თქვენ გასაგონად, ბიჭებო!..

(თბილისი, «მერანი» - 3, 1999 წელი)

«ახალი წლის ღამე თენგიზ კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაჯგუფებაში გაატარეს. მათ შტაბში - მოსალაპარაკებლად მივდივართო, ორი-სამი დღე დარჩნენ, ათიოდე დაცვის მებრძოლის თანხლებით».

«რა გზით უნდა მომხდარიყო ხელისუფლების შეცვლა, ან ვინ უნდა ყოფილიყო არსებული ხელისუფლების მემკვიდრე, არავინ უწყოდა და ვერც ვერავინ გასცემდა იმ დროს კითხვაზე პასუხს. პოლიტიკური პარტიები ცალ-ცალკე, ნაირსახის მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. მათ შორის, ზვიადის ზურგს უკან, მისი პარლამენტის წევრებთანაც».

«ძალზე მღელვარე დროს, როცა დავრწმუნდით, რომ ზვიად გამსახურდიას გადადგომა გარდაუვალი გახდა, კიტოვანი და სიგუა ხშირად ჩადიოდნენ მოსკოვში. იქ სიარულს მოუხშირეს სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმაც. მოსკოვის გზაზე ჯგუფები და პიროვნებები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თენგიზ სიგუას და თენგიზ კიტოვანს მე და კახა გველესიანი მივყვებოდით ხოლმე. ისინი ესაუბრებოდნენ და ეთათბირებოდნენ ედუარდ შევარდნაძეს. ამ შემთხვევაში მე და კახა ამ საუბრებს ვერიდებოდით. ჩვენ სხვა ამოცანა გვქონდა. რა თქმა უნდა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩა და ზვიადმა ნადირობა წამოიწყო არა მარტო სიგუასა და კიტოვანზე, ჩემზე, ჯემალზე, კახაზე და საერთოდ, ყველა გვარდიელზე. ჩვენ იძულებული გავხდით, გაგვეძლიერებინა თავდაცვის ზომები.

მოსკოვში ბაქოს გავლით გავდიოდით. ჩვენი აეროპორტი პარალიზებული იყო. ბაქოშიც და მოსკოვშიც აეროპორტის მოლარეებს კარგად ვიცნობდით. ისინი ყოველთვის მზადყოფნით გვეგებებოდნენ და ხელსაც გვიწყობდნენ. ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას, მოლარე მირეკავს და მეუბნება: «ასეთი რა მოხდა, რამ გადარია ქართველები, თქვენს რეისზე 7-8 ქართველი კიდევ მოდის, ბილეთები უკვე აიღესო. არ გამკვირვებია. ყოველთვის რალაცის მოლოდინშია ფრთხილი ადამიანი და უმალ გავიაზრე, რომ რალაცა მზადდებოდა. ეჭვები კახას გავუზიარე, გონიერი ბიჭია, მაინტერესებდა რას იტყოდა. ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა, საფრთხე აშკარა იყო. ასეც რომ არ მომხდარიყო, თადარიგი უნა დაგვეჭირა. — არა ღირს ამ რეისით გაფრენა, რალაცას მოვიფიქრებ, - ვუთხარი და ხმამაღლა მსჯელობას მოვყევი: იქნებ თვითმფრინავი სულაც გამოვრიცხოთ და არ გავფრინდეთ... დამთანხმდა. წაუსვლელობა არ იქნებოდა, მდგომარეობა მოითხოვდა.

მოსკოვში ბევრი ნაცნობი მყავს. ერთ ჩემს მეგობარს დავუკავშირდი, ვთხოვე, მანქანა ეთხოვებინა სასწრაფოდ თბილისში გასამგზავრებლად. მართლაც, არ დაუყოვნებია. მალე მოგვადგა კარზე ახალთახალი «ვოლვო», თავისი შოფრით. თენგიზ სიგუას მივაკითხეთ. მისთვის არაფერი აგვიხსნია და, საერთოდ, არც არაფერი გვითქვამს. არ გვინდოდა, საგონებელში ჩავარდნილიყო.

- ხომ არ გადაიტანეს ეს აეროპორტი? — იძახდა გაკვირვებული თენგიზ სიგუა, მანქანით საათნახევარზე მეტი რომ ვიმგზავრეთ...

## მასალები რუსული პრესიდან:

### ადმირალი ედუარდ ბალტინი მექრთამეა? - «Свободная газета»1998, N 1

გაზეთის რედაქციის საკმაოდ კონფიდენციალური წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ 1993 წლის ოქტომბრის დასაწყისში, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოსთან არსებულ, არბატზე მდებარე ქართულ სათვისტომო «მზიურში», საქართველოს მაშინდელი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის - ვ.ადვაძის ხელმძღვანელობით ტარდებოდა პოლიტიკასა და ბიზნესის სფეროში გავლენიანი ქართველების თათბირი, რუსეთში საქართველოს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, მეცნიერებათა დოქტორის - ს.ცაგარეიშვილის მონაწილეობითა და დახმარებით. განიხილებოდა ერთადერთი საკითხი — უკვე მიღწეული მოლაპარაკების თანახმად, შავი ზღვის ფლოტის მხედართმთავრის, ადმირალ ე. ბალტინისათვის გადასაცემი ორი მილიარდი რუბლის შეგროვება, თითქოსდა, მისი ხელმძღვანელობით, სამხედრო გემების დასაქირავებლად და საქართველოს ფოთის პორტში გასაგზავნად და სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად.

ქართული სათვისტომოს წევრებს შორის მწვავე კამათი გაჩაღდა ვადებსა და ფულის რაოდენობაზე. ძალზე მკაცრად აკრიტიკებდნენ საკმაოდ შეძლებულსა და ნაკლებად იმედის მომცემ პიროვნებებს.



კერძოდ, ძალზედ აღშფოთებული იყო ცნობილი ბიზნესმენი ილია ვარდანიძე იმით, რომ მას უკვე შეტანილი ჰქონდა სამასი მილიონი რუბლი, ხოლო ვილაცა არანაკლებ გავლენიანები, მოლოდინის პოლიტიკას ადგნენ, მაშინ როცა საქართველო საფრთხეში იყო და პასიურად მომზირალნი, რალაცის იმედად რჩებოდნენ.

ცნობილია და, უმრავლესობა, ვისაც ვესაუბრეთ, ადასტურებს, რომ მაშინ ელჩმა ვ. ადვაძემ ამგვარი რამ განაცხადა: «...გინდათ თუ არა, დარჩენილ ერთ კვირაში ზუსტად ორი მილიარდი რუბლი უნდა შეგროვდეს». ამასთან განმარტა, რომ მილიარდ შვიდასი მილიონი უკვე შეგროვილია და სამასი მილიონიღა დარჩა და მანამდე მას პირადად ბალტინს არ გადასცემენ, ოპერაცია არ დაიწყება. დამსწრეთა შორის ბევრი ცნობილი ადამიანი იყო, რომელთა ვინაობის დასახელება, ცნობილი მიზეზების გამო, არ გაგვამჟღავნებინეს. ყველასთვის ცნობილია, ხელოვანი ზურაბ წერეთელი კი პირადად ეხმარებოდა სამხედროებთან დაკავშირებაში, მათ შორის, მაშინდელ თავდაცვის მინისტრ პ. გრაჩოვთან.

აღმოჩნდა, რომ პირზე დუუმომდგარი ვ. ადვაძე თავგამოდებული ამტკიცებდა, რომ ეს ფული კეთილ საქმეს მოხმარდებოდა: «ფოთსა და სენაკს ზვიადისტებისგან გავათავისუფლებთ, ისინი იძულებული გახდებიან, აფხაზეთისკენ გაიქცნენ, მათ იქ დავეწევით და ზვიადისტებთან ბრძოლის საბაბით ბალტინის ნაწილები ჩვენს ძალებთან ერთად, საქართველოს მტრებსა და ყველა მოწინააღმდეგეს გაანადგურებენ. ორი კურდღლის ამ გზით მოკვლით, ე.ი. აფხაზეთის სეპარატისტებისაგან გათავისუფლებითა და ყველა ზვიადისტის განადგურებით, ბატონი შევარდნაძე ბოლოს და ბოლოს მშვიდად მუშაობას შეძლებს! ვფიქრობ, ენა არავის მოუტრიალდება იმის სათქმელად, რომ დავით აღმაშენებელი საქართველოს მტერი იყოო, რადგან მისი მეფობის დროინდელი კეთილდღეობა, საქართველოს ორმოცი ათასი ქართველის სიცოცხლედ დაუჯდა!»... აი, ასე?!

ის, რომ ადმირალი ე. ბალტინი წინამძღოლობდა თავისი არმადის ლაშქრობას, მივიდა ფოთის პორტში და იქ სამხედრო ოპერაციებს ატარებდა, რაც მთელი მსოფლიოსთვის გახლავთ ცნობილი. ცნობილია, მისგან ინტერვიუში აღნიშნული ფაქტიც: «დიახ, მე დავეხმარე ე. შევარდნაძეს პირადად მისი თხოვნით, - ასე განაცხადა ადმირალმა, - და არ დაველოდე რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას»...

ე. შევარდნაძის თხოვნით თუ ორი მილიარდი რუბლის ქრთამის გულისთვის, ბატონო ადმირალო? განგვიმარტეთ, გეთაყვა. თუმცა, ორივე შემთხვევაში, ყველაფერ ამას ჩვენ მსოფლიო თანამეგობრობის გამოწვევად და სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებად მივიჩნევთ, უფრო კი უმაღლესი მთავარსარდლის, რუსეთის პრეზიდენტის სანქციის გარეშე, თვითნებურად ჩადენილ დანაშაულად. სამხედრო ჩარევის აქტი სხვა სახელმწიფოს კონფლიქტურ ვითარებაში და სამხედრო ოპერაციების ჩატარება ამბოხებულთა, ანუ პუტჩისტთა დასახმარებლად, კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის დასამხობად, რასაც ქრთამის აღებით აწარმოებს უცხო სახელმწიფოს ფლოტის მხედართმთავარი, ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულია.

გაზეთის რედაქცია იმედოვნებს, რომ ვითარების გასარკვევად დაინტერესებულია არა მარტო შავი ზღვის ფლოტის ყოფილი მხედართმთავარი, ადმირალი ე. ბალტინი, არამედ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა და მთავარი სამხედრო პროკურატურა, რომლებიც თავიანთ ავტორიტეტულ სიტყვას იტყვიან და მომხდარს სამართლებრივ შეფასებას მისცემენ.

### სპეცნაზი — ყველა ჩვენგანისათვის - «Свободная газета»1998, N 1

... არმიული სპეცნაზისგან ჩატარებულ პირველ ოპერაციად ალბათ 1968 წლის აგვისტოს ღამეს, საბჭოთა ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის დროს მათი იქაურ აეროდრომებზე გადასხმა უნდა მივიჩნიოთ. დაახლოებით მსგავსი ოპერაცია ჩატარდა ქაბულშიც 1979 წლის დეკემბერში: წინ სპეცნაზი — უკან დესანტი, მათ უკან კი ჩვეულებრივი საჯარისო ნაწილები. სპეცნაზელთა ქვედანაყოფებმა, თუ სპეცნაზის ცალკეულმა ოფიცრებმა მთელ რიგ ბრძოლებში მიიღეს მონაწილეობა: ვიეტნამში, ეთიოპიაში, ანგოლაში, სირიაში, ეგვიპტეში, მოზამბიკში, ნიკარაგუაში...

ავღანეთში, საბრძოლო ოპერაციების დასრულების შემდეგ, არმიული სპეცნაზის ქვედანაყოფები აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის განაპირა მხარეებში წარმოქმნილ ლოკალურ კონფლიქტებში.

მაგალითად, ცნობილია ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები სპეცნაზის ნაწილების მონაწილეობაზე საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტში. არსებობენ მრავალრიცხოვანი სარწმუნო მტკიცებები რუსი სპეცნაზელების მონაწილეობის შესახებ ზვიადისტთა წინააღმდეგ შევარდნაძის მომხრე მებრძოლთა მხარეზე.

1991-1992 წლების დეკემბერ იანვარში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპეცნაზი მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობაში.

1992-1993 წლების აგვისტო - ნოემბერში დაფიქსირებულია სპეცნაზელთა მონაწილეობა საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტში, აფხაზეთის მხარეზე.

1993 წლის ნოემბერში რუსეთის არმიის სპეცნაზის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ ზვიადისტთა საწინააღმდეგოდ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში, შევარდნაძის მომხრე მებრძოლებთან ერთად.

### როსტოვის "სპეცნაზი" გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ - "Известия"-27.X.99

ბოლო რამდენიმე წელიწადში ედუარდ შევარდნაძე რამდენჯერმე იმდენად რადიკალურად იცვლიდა პოლიტიკას რუსეთისადმი მიმართებაში, რომ ამ ცვალებადობათა მოტივებზე მიდევნება დღეს უკიდურესად ძნელია. ნათელია მხოლოდ საერთო მითოლოგია: ქართული ეკონომიკის ტრაგიკული სიკვდილისა და ფაქტიურად დაქცეული ქვეყნის ფონზე, ამჟამად თბილისი მთელს იმედს ძირითადად დასავლეთზე და კასპიის ნავთობის ტრანზიტს მოყოლილ მითიურ შემოსავალზე ამყარებს. ქვეყანაში პრაქტიკულად არაფერი კეთდება საქართველოს ეკონომიკის «ტრანზიტული» ლიანდაგებიდან ნორმალურზე გადასაყვანად. იმავდროულად, გიგანტური რაოდენობის ფული იხარჯება ნატოს ნიმუშის არმიის შესაქმნელად იმავე ნატოს ექსპერტებისა და გენერლების ხელმძღვანელობით და, რასაკვირველია, დამნაშავე აუცილებლად რუსეთია, რომელიც გამუდმებით ამუნათებს ედუარდ შევარდნაძეს, ჩანს, იმ მომენტიდან დაწყებული, როსტოველმა სპეცნაზელებმა რომ ხელში ჩაიგდეს ზვიად გამსახურდიას ბუნკერი. დასანანია, რომ მოსკოვი ამას შეეჩვია და სათანადოდ არ აფასებს ამიერკავკასიურ სამადლობელს.

# საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების განცხადებები საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით

### სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემსწავლელი დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის გიორგი კერვალიშვილის განცხადება

2001 წლის 15 აპრილს რუსეთის ტელეკომპანია «ტვც»-ზე რუსი ჟურნალისტის ა. კარაულოვის საავტორო პროგრამით გამოსვლისას, შევარდნაძის მმართველობის მიერ დანიშნულმა საქართველოს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა იგორ გიორგაძემ დაადასტურა, რომ თავისუფალი საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოს ფუძემდებლის, ჩვენი სამშობლოს ისტორიაში პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მკვლელობა განახორციელა ე. შევარდნაძის ხელისუფლებამ, რალა თქმა უნდა, სპეცსამსახურების გამოყენებით. აქვე გვინდა დავსძინოთ, ჩვენი საგამოძიებო კომისია, რომელიც შეიქმნა 1997 წლის აპრილში, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში ბრალს ვდებთ 1991-92 წლებში სამხედრო გადატრიალების გზით მოსულ ხუნტას, რომელსაც მეთაურობს ე.შევარდნაძე (არსებობს მრავალი უტყუარი მასალა და ინფორმაცია).

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია ქვეყნის ფაქტობრივი გენერალური პროკურატურისაგან დაბეჯითებით მოითხოვს, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, აღძრას სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მუხლით, შეჩერებულ საქმეზე ობიექტური გამოძიების დაუყოვნებლივ განახლებას, იმ დამნაშავეთა კონკრეტულად გამოაშკარავებას, რომლებმაც ამ ბოროტმოქმედებით ჩაიდინეს ქართველი ერის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე.

თუ საქართველოს ფაქტობრივი გენერალური პროკურატურა არ გაითვალისწინებს ქართველი საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვან სამართლიან მოთხოვნებს, მაშინ რეალურად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროკურატურა ასრულებს არა კანონის უზენაესობის პრინციპებს, არამედ ის არსებული რეჟიმის მსახური გახლავთ.

ასოციაციის პრეზიდენტი
გიორგი კერვალიშვილი

საქართველოს გენერალურ პროკურორს

### საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

უკანასკნელი თვეებისა და, ნაწილობრივ, წლების მანძილზე მრავალი ნიშანი ჩნდება იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლულ იქნა ცეცხლმსროლელი იარაღით 1993 წლის 31 დეკემბერს და რომ ამგვარად, მისი სიკვდილი არის არა თვითმკვლელობის შედეგი, როგორც დღეს საქართველოში მმართველი შევარდნაძისა და «მოქალაქეთა კავშირის» ხელისუფლება აცხადებს, არამედ მკვლელობის შედეგი, რომელიც პოლიტიკურად ხელსაყრელი იყო, პირველ ყოვლისა, ამ ხელისუფლებისათვის. ამგვარად, პირველყოვლისა, ეს ხელისუფლება და მისი სპეცსამსახურები ჩანან დამნაშავეებად. საქართველოს გენერალურ პროკურატურას არა აქვს უფლება, არ გამოიძიოს ბოლომდე ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ეპიზოდი და გამოძიების შედეგთა მიხედვით არ წაუყენოს მკვლელობის ბრალდება დამნაშავეებს, განურჩევლად იმისა, კერძო პირნი იქნებიან ისინი, ხელისუფალნი, თუ მათდამი დაქვემდებარებული სპეცსამსახურები.

1992 წელს საქართველოს დევნილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმართ არაერთხელ გაკეთდა საქართველოს გენერალური პროკურორის ვ. რაზმაძის განცხადებები, რომ ზ.გამსახურდიამ მოახდინა ოსების გენოციდი. ეს განცხადებები, რომლებიც არ იყო არგუმენტირებული რაიმე დამამტკიცებელი მასალით, გენოციდში ბრალს სდებდა არა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს, არამედ საქართველოს სახელმწიფოსაც. ვ. რაზმაძის ეს მოქმედება, სახალხო ფრონტის აზრით, შეიცავს სამშობლოს ღალატის ნიშნებს, რის გამოც მისი გამოძიება საქართველოს პროკურატურის მოვალეობაა, რომელიც საქართველოში დემოკრატიულად არჩეული, ანუ კანონიერი ხელისუფლების შექმნისთანავე სათანადო რეაგირების საგანი გახდება.

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნათაძე

### საქართველოს გენერალურ პროკურორს ბატონ გია მეფარიშვილს

ბატონო გია,

საქართველოს გენერალური პროკურატურა წლების მანძილზე დაკავებულია არშემდგარი და განუხორციელებელი ტერორისტული აქტების გამოძიებით მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება შეჩერებულია. მიმდინარე წლის 15 აპრილს ტელეკომპანია «ტვც»-ზე (რუსეთის ფედერაცია) გამოსვლისას იგორ გიორგაძემ დაადასტურა, რომ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურება დაგეგმა და განახორციელა ხელისუფლებამ. მან აგრეთვე აღიარა ამ დანაშაულის ჩადენაში საკუთარი მონაწილეობაც.

მოძრაობა «ჭყონდიდელის» პოლიტიკური საბჭო მოგმართავთ თქვენ, ახალ გენერალურ პროკურორს, გამოასწოროთ წინამორბედის მიერ ჩადენილი უკანონობა და განაახლოთ გამოძიება ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე
ჯემალ გამახარია

### საქართველოს გენერალურ პროკურორს ბატონ გია მეფარიშვილს

ღრმად პატივცემულო ბატონო გია,

როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, ა.წ. 15 აპრილს რუსეთის ტელეკომპანია «ტვც»-ზე საყოველთაოდ ცნობილ ანდრეი კარაულოვის საავტორო გადაცემაში გამოვიდა საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ მაშინდელი (და, მაშასადამე, დღევანდელი) მთავრობის დავალებით, მან შეადგინა გეგმა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების მთავარი ხელმძღვანელის ბატონ ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის შესახებ და პრეზიდენტის პირადი დაცვის მოსყიდვით განახორციელა ეს გეგმა. აქვე მან დასძინა, რომ შემავალი ჭრილობა განლაგებული იყო მარჯვენა საფეთქლის ზემო არეში, ხოლო გამავალი ჭრილობა სადღაც მარცხენა ყბასთან, ე.ი. ამითაც კი თვითმკვლელობა გამორიცხულია.

ამას გარკვეულწილად ემთხვევა მაშინდელი დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ავთანდილ იოსელიანის განცხადება, რომ მისი ხალხი ფეხდაფეხ დასდევდა ზ. გამსახურდიას, რომ ძალიან ხშირად, როცა ისინი შედიოდნენ იქ, სადაც მანამდე ბინადრობდა, ჯერ კიდევ ჩაუქრობელი ცეცხლი ხვდებოდათ.

ბატონო გია, ფრაქცია «XXI საუკუნე»-ს აუცილებლად მიაჩნია დაუყოვნებლივ განახლდეს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით შეჩერებული საქმე და საამკარაოზე იქნეს გამოტანილი დამნაშავეთა ვინაობა და მათი კონკრეტული ქმედებები.

ამ საქმეში არ შეიძლება ვიგუოთ არც ერთი ტაბუდადებული თემა.

ღრმა პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე
ვახტანგ ბოჭორიშვილი

### საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბატონ გია მეფარიშვილს

### მოძრაობა «ერის ძახილის» მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის გელა ნიკურაძის განცხადება

2001 წლის 15 აპრილს, რუსეთის ტელევიზიის «ტვც»-ს არხზე ჟურნალისტ ანდრეი კარაულოვთან საუბარში, იგორ გიორგაძემ განაცხადა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის (და არა ექსპრეზიდენტის) ზვიად გამსახურდიას მკვლელობა განხორციელებული იქნა საქართველოს მაშინდელი (იგივე დღევანდელი) ხელისუფლების მიერ.

საქართველოს ხსნის მოძრაობა «ერის ძახილი» გენერალური პროკურატურისაგან მოითხოვს დაუყოვნებლივ კვლავ აღძრას სისხლის სამართლის საქმე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამო და გაგრძელდეს გამოძიება იმ პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს საუკუნის დანაშაული.

---

**ინტერვიუ პოლიტიკურ ოპონენტთან**

## შალვა ნათელაშვილი:

## „თავისუფლად შემეძლო გავსულიყავი დიპლომატიურ არენაზე რუსეთის სახელით...“

(დასაწყისი იხ. წინა ნომერში)

***- ბატონო შალვა, თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, ისე გამოდის, რომ შევარდნაძის მიმართ მთლად კეთილგანწყობილი არ ბრძანდებოდით***

- ასეთი განწყობილება მის მიმართ ნამდვილად არ გამაჩნდა. მას ახლოს არ ვიცნობდი, მასთან ნამუშევარი არ გახლდით. თუმცა, არც მთლად პროშევარდნაძისტულად ვიყავი განწყობილი. ვფიქრობდი, რომ რაღაცას მაინც გააკეთებდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე პიროვნება. სხვათაშორის, ასე ბევრი ფიქრობდა. მისდამი წინააღმდეგობა მაშინ ჩამომიყალიბდა, როდესაც გვარდიისა და "მხედრიონის" ჩამოცილების შემდეგ ქვეყანა დაწყნარდა და ნაცვლად აღმშენებლობის დაწყებისა, შევარდნაძემ ახალი "მხედრიონი", ახალი გვარდია, ახალი ბანდა შექმნა თავისი პარტიისა და გუნდის სახით.

*ჩვენი კომენტარი: მოსმენილში ვერაფრით დავეთანხმებით ბატონ შალვას. განა მთელი საქართველო არ იყო წინააღმდეგი სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთი სულისჩამდგმელისა და მომწყობის ჩამოსვლისა? თავი დავანებოთ ამ ტრაგედიას თანმოყოლილსა და დღემდე ჯერაც დაუსრულებელ შავბნელ ხანას. მისი ცეკას პირველმდივნობის დროინდელი პერიოდის ცალკეული მომენტები გავიხსენოთ: „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა" და მექრთამეობის არნახულად მომძლავრება; ციხე-დილეგების მისთვის მიუღებელი ადამიანებით გავსება; ახლო მეგობრის, მისგან ნებადართული „უკანონო" საქმეების კეთებაში "მხილებული" ალმასკომის თავმჯდომარის უმკაცრესად დასჯა; ქვეყნის რუსიფიცირებისაკენ გაუნელებელი სწრაფვა; განათლების სისტემის რუსიფიკაციის, სახელმწიფო ენად რუსულის გამოცხადების მცდელობა; მისგანვე ხელშეწყობილ-წაქეზებული სპეციალისტების დიდი ჯგუფის მიერ არნახული მიწერებითა და ქართული ღვინის სახელის შელახვის გზით მიღწეული გეგმის „გადაჭარბებით" შესრულებით „სოციალისტური შრომის გმირის" ოქროს ვარსკვლავის მოპოვება; მერე სწორედ ღვინის იმ "ფალსიფიკატორთა" დაუნანებლად გაწირვა და საპყრობილეებში გამომწყვდევა; წითელი ჯოჯოხეთიდან თავის დასახსნელად, თვითმფრინავით უცხოეთში გაღწევის მსურველი ახალგაზრდებისა და სასულიერო პირის დახვრეტა და სხვა მრავალი.*

*რაც შეეხება შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტს, ამგვარი არაფერი გააჩნდა. იგი ჩვეულებრივი მიკრიკი გახლდათ წითელ იმპერიასა და უცხოეთის ქვეყნების ურთიერთობებსა და მოლაპარაკებებში.*

*ყოველივე ამისი მომსწრე ჭეშმარიტ ქართველებს, სამშობლოსა და ერის ერთგულ ადამიანებს, ოდნავადაც არ უფიქრიათ შევარდნაძისაგან საქართველოსათვის თუნდაც უმნიშვნელო სასიკეთო საქმის გაკეთების შესაძლებლობა.*

***- ისევ და ისევ თქვენი ნათქვამიდან გამოდის, რომ დასაწყისში გჯეროდათ შევარდნაძისა***

- დიახ. მისი წინააღმდეგი არ ვიყავი. საერთოდ, უფრო შუალედური, ნეიტრალური პოზიცია მეკავა.

***- და ალბათ ყველაფერმა ამან გადაგაწყვეტინათ შევარდნაძის არჩევნებში მონაწილეობა.***

- ამიტომაც და იმისთვისაც, რომ სამშობლო გასაჭირში იმყოფებოდა და გაჩუმება არ შემეძლო. საკუთარი შესაძლებლობები საქართველოსათვის უნდა მომეხმარებინა, მისთვის უნდა დავხარჯულიყავი, უქმად ვერ ვიქნებოდი. იმასაც ვიტყვი, რომ მაშინ ბევრისთვის სანატრელ, სოლიდურ სამსახურს მთავაზობდნენ მოსკოვში: რუსეთის გენერალურ პროკურატურაში, დიპლომატიურ აკადემიაში სამუშაოდ; თავისუფლად შემეძლო გავსულიყავი დიპლომატიურ არენაზე რუსეთის სახელით... მაგრამ ასეთი ნაბიჯი არ გადავდგი. ამას ჩემის მხრიდან სამშობლოს ღალატად მივიჩნევდი. ჩემი ცოდნა და გამოცდილება, ძალა და უნარი სამშობლოსათვის უნდა მომეხმარებინა და არა უცხო ქვეყნისათვის.

***- ბატონო პარტიის თავმჯომარევ, შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლამ საერთო მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა და დაამძიმა. შეიქმნა სახელმწიფო საბჭო. მაშინ ბატონი ზვიად გამსახურდია ჩეჩნეთში გახლდათ ემიგრაციაში და იმ დროს გამომავალი კანონიერების მხარდამჭერი გაზეთებიდან საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მუდმივად შეახსენებდა სისხლისღვრით დამკვიდრებულთა უკანონობაზე. მაშასადამე, ე.წ. „სახელმწიფო საბჭო" უკანონო იყო, რადგან არსებობდა ხალხის ნებით არჩეული ხელისუფლება, რომელმაც არც თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და არც კაპიტულაციაზე მოაწერა ხელი და თავისთავად ცხადია, ეჭვი არავის უნდა შეეპაროს მათგან ჩატარებული „არჩევნების" უკანონობაში. პრეზიდენტი მუდმივად მოუწოდებდა მოსახლეობას ხუნტის მიერ დანიშნული ყველანაირი არჩევნებისათვის ბოიკოტის გამოცხადებას და ამას პირუთვნელად ასრულებდა კიდეც ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. თქვენ კი, ესოდენ გამოცდილმა იურისტმა, სამშობლოს გადარჩენის გულმხურვალე მოსურნემ, რატომ გადაწყვიტეთ კრიმინალების უკანონო არჩევნებში მონაწილეობა?***

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

**ჩვენი რწმენა**

# ლანჩანოს სასწაული



ქრისტეს შობიდან VIII საუკუნეში, ძველი იტალიური ქალაქის - ლანჩანოს სან-ლეგონცის ტაძარში საიდუმლო ევქარისტია აღესრულებოდა. მღვდელთა შორის ერთ-ერთს, რომელიც ლიტურგიაში მონაწილეობდა, ეჭვი გაუჩნდა: "ეს პური და ღვინო ნამდვილად ქრისტეს ხორცად და სისხლად გადაიქცევა?" - ფიქრობდა.

ქრონიკამ ამ მღვდელმონაზონის სახელი არ შემოგვინახა, მაგრამ ზუსტად მის სულში შეპარული ეჭვი გახდა ამ სასწაულის მიზეზი, რომელზეც დღესაც ლაპარაკობენ. მღვდელი ცდილობდა, როგორმე გაეფანტა შესული ეჭვები, მაგრამ - ამაოდ: "რატომ უნდა ვიწამო, რომ პური აღარ არის პური, ღვინო კი სისხლად გადიქცევა? ვინ დაამტკიცებს ამას? მით უფრო, რომ გარეგნულად არც ერთი და არც მეორე არასოდეს შეცვლილა... ეს ალბათ სიმბოლოებია, რომელიც იმ საიდუმლო სერობას შეგვახსენებს" - ფიქრობდა.

"... იმ ღამეს, რომელსაც ის გასცეს, მან აიღო პური...
ჰმადლობა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თვისთა
და თქვა: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი.
განტეხილი ცოდვების მისატევებლად და მიიღო სასუ-
მელი და ჰმადლობდა: მისცა მათ და თქვა: სუთ ამისგანი
ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაი,
მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა."

შიშით წარმოთქვა მღვდელმა ევქარისტიული კანონის წმინდა სიტყვები, თუმცა ეჭვები ისევ სტანჯავდნენ. "დიახ, მას, შეწირულ ტარიგს, თავისი ღვთაებრივი ძალით შეეძლო პური ხორცად და ღვინო სისხლად ექცია. მას, მამის ნებით მოსულს, ყველაფერი შეეძლო, მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო, მან კი, რა ხანია, დატოვა ეს ცოდვილი სამყარო და საზეცეთში წმინდა სიტყვები და ლოცვა-კურთხევა დაგვიტოვა. - იქნებ, თავისი სისხლი და ხორციც? განა ეს შეუძლებელია? ჭეშმარიტად საიდუმლო ზიარებაც ხომ არ წავიდოდა მასთან ერთად ზეცისმოწლისამ? - ხომ არ იქცა წმინდა ევქარისტია მხოლოდ რიტუალად?" ამაოდ ცდილობდა მღვდელი სულიერი სიმშვიდისა და რწმენის აღდგენას. და მაინც, გარდასახვა მოხდა. მან ლოცვის სიტყვებთან ერთად გატეხა ევქარისტიული პური. უცებ ტაძარში გაოცების შეძახილი გაისმა. მღვდელმონაზვნის თითებში გატეხილი პური რაღაც სხვად გადაიქცა, მან უცებ ვერ გაიგო რად; ბარძიმშიც უკვე აღარ იყო ღვინო, არამედ - რაღაც ბლანტი, ალისფერი სითხე, რომელიც საოცრად ჰგავდა... სისხლს. სახტად დარჩენილი მღვდელი დაშტერებოდა თითებში მოქცეულ სასწაულს, - ეს იყო ხორცის თხელი ანათალი, რომელიც ძალიან წააგავდა ხნულის კუნთოვან ქსოვილს. მღვდლის ირგვლივ შეიყარა ბერმონაზონი, სასწაულის მხილველები გაოცებას ვერ მალავდნენ. მან კი თავისი იმ ეჭვების შესახებ აღიარა, რომლის პასუხიც ამგვარი სასწაული მიიღო. როგორც კი დასრულდა წმინდა ლიტურგია, მღვდელი დაეცა მუხლებზე და ლოცვაში ჩაიძირა. რაზე ლოცულობდა მაშინ - მიღებული პასუხისათვის ადიდებდა უფალს, თუ თავისი მცირედ მორწმუნეობისათვის ითხოვდა შენდობას, - ამას ჩვენ ვერ გავიგებთ. ჭეშმარიტად ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ მას შემდეგ, უკვე თორმეტი საუკუნეა, ქ.ლანჩანოში ინახება საოცარი სისხლი და ხორცი, რომელიც სან-ლეგონცის (ახლა სან-ფრანჩესკო) ტაძარში ევქარისტიის დროს მიიღეს. სასწაულის ამბავი უცებ მოედო ახლომახლო ქალაქებს, ოლქებს და დაიძრა ლანჩანოსაკენ მომლოცველთა ჯგუფი.

გავიდა საუკუნეები. სასწაულებრივმა ძღვენმა მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. 1574 წელს ჩატარდა სხვადასხვა ცდა და დაკვირვება, 1970 წლიდან უკვე ექსპერიმენტულ დონეზე იკვლევდნენ მას. მაგრამ ერთი მეცნიერის მიღებული დასკვნა მეორეს არ აკმაყოფილებდა და ასე. ანატომიის, პათოლოგიური ჰისტოლოგიის. ქიმიისა და კლინიკური მიკროსკოპიის გამოჩენილმა სპეციალისტმა, სიენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორმა ოდოარდო ლინოლიმ თავის კოლეგებთან - ჯერ 1970 წლის ნოემბერში. შემდეგ კი 1971 წლის მარტში - ჩაატარა გამოკვლევა და მივიდა დასკვნამდე, რომ VIII საუკუნიდან მოყოლებული, ... ლანჩანოში ინახება... ნამდვილი ადამიანის ხორცი და სისხლი. ხორცი გულის კუნთის ქსოვილია. რომელიც შეიცავს მიოკარდის, ენდოკარდისა და ცთომილი ნერვის კვეთს. შესაძლოა, იგი შეიცავს მარცხენა პარკუჭის ნაწილსაც. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ხორცის კვეთში მიოკარდის მნიშვნელოვანი სისქე. ხორციც და სისხლიც ერთსა და იმავე AB ჯგუფს განეკუთვნება. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება სისხლი, რომელიც აღმოჩენილია ტურინის გარდამოხსნაზე. სისხლი შეიცავს პროტეინებსა და მინერალებს იმ პროცენტული თანაფარდობით, როგორც ეს ადამიანის სისხლისთვისაა დამახასიათებელი. მეცნიერები განაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ თორმეტი საუკუნის მანძილზე ხორციც და სისხლიც ფიზიკური, ატმოსფერული და ბიოლოგიური აგენტებისაგან ხელოვნური დაცვისა და სპეციალური კონსერვანტების გამოყენების გარეშე ინახება. გარდა ამისა, საკმარისია, რომ სისხლი თხევად მდგომარეობაში გადაიყვანოთ და თავისუფლად შეიძლება ის ადამიანს გადაუსხათ, რადგან მას ახალი სისხლის ყველა თვისება შენარჩუნებული აქვს.

სიენის უნივერსიტეტის ზოგადი ანატომიის პროფესორმა რუჯერო ბერტელმა ოდოარდო ლინოლის პარალელურად აწარმოა გამოკვლევა და ანალოგიური შედეგი მიიღო.

1981 წელს ანატომიისა და პათოლოგიის სფეროში მედიცინის მეცნიერების ახალი მიღწევებისა და თანამედროვე აპარატურის გამოყენებით, კვლავ გამოიკვლიეს წმინდა ნაწილები. შედეგი კვლავ დადასტურდა...

სასწაულის თანამედროვეთა ცნობით, მატერიალიზებული სისხლი მოგვიანებით ხუთი სხვადასხვა ფორმის ბურთულად გადაიქცა და გამყარდა. საინტერესოა, რომ თითოეული ეს ბურთულა ცალკე აღებული, იწონის იმდენივეს, რამდენსაც - ხუთივე ბურთულა, ერთად აღებული. ამის პასუხი მეცნიერებს დღემდე ვერ უპოვიათ. ეს ეწინააღმდეგება ელემენტარული ფიზიკის კანონებს, მაგრამ ფაქტია.

მთის ბროლის ნატეხისაგან დამზადებულ ფიალაში მოთავსებულ სისხლსა და ხორცს, უკვე თორმეტი საუკუნეა. ნახულობენ ლანჩანოში ჩასული მლოცველები თუ მოგზაურები.

«Сретенский Календарь-сборник» 2000 г.

"რწმენა და ცოდნა", N 2, 2000 წ. ივნისი-აგვისტო

**მასალა მოამზადა სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრმა ლეილა ბათხაძემ.**

**"ქუჯის" ფოსტა**

# საქართველოს უძღები შვილები – ტრეფიკინგის მსხვერპლნი

ადამიანს აქვს უფლისაგან ბოძებული საოცარი ინსტინქტი მშობლიური მიწის სიყვარულისა. ეს ინსტინქტი ქართველებს განსაკუთრებულად მოჭარბებული გვაქვს, რადგან ჩვენ ვართ "გეორგიანები" – მიწის ხალხი. ქართველი ღრმა ფესვებითაა მიჯაჭვული თავის მიწაზე, მადლიან, ღვთისმშობლის წილხვდომ მიწაზე და მხოლოდ საქართველოშია ძლიერი და ბედნიერი.

კონსტანტინე გამსახურდია თავის რომანში "დიონისეს ღიმილი" წერს: "ნოსტალგიი" ჩვენ ქართველებს არ გვჭირთ, რადგან ქართველი გაჭირვებას იშვიათად მიჰყავს უცხოეთში. ჩვენ სიტყვაც არ მოგვეპოვება ამ სენის გამოსახატავად... ურიებს არ აქვთ ეს გრძნობა. ბედნიერი ხალხია... მათთვის ყველგან სამშობლოა, სადაც ფულს იშოვის".

დღეს საქართველოში უდიდესმა უბედურებამ იჩინა თავი. 1991-1992 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად საქართველო აღმოჩნდა ქვეყანა, რომელიც ცოცხალი საქონლით ამარაგებს სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებს. ხუნტამ მშიერი და დაუსაქმებელი დატოვა ხალხი, რომელმაც მასიურად იწყო გადინება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ლუკმა-პურის საშოვნელად. იქ მათ უხდებათ უამრავი შეურაცხყოფის, დამცირების, შიმშილის, მოტყუების და სიცივის ატანა. გამგზავრება უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში იმდენად ძვირია, რომ ადამიანებს მთელი თავისი ქონების გაყიდვა უწევთ.

უნებურად გახსენდება სახარებისეული "უძღები შვილის იგავი". უძღებმა შვილმა გამოართვა მამას კუთვნილი წილი, რაც მას სამკვიდრებლიდან ერგებოდა, წავიდა შორს, სხვა ქვეყანაში, დაიწყო გარყვნილი ცხოვრება, გაანიავა თავისი ქონება და ისე დაგლახაკდა, რომ ღორების მწყემსად დააყენეს. ვინც მის მსგავსად განეშორება ზეციურ მამას, არ დაემორჩილება საღმრთო სჯულს, იგი დაეცემა, დაგლახაკდება და დაემსგავსება უწმინდურ პირუტყვს. უძღები შვილი მისმა საშინელმა მდგომარეობამ მოიყვანა გონს. სინანული იგი უძღები შვილისა იყო გულწრფელი. მან სრულად შეიგნო თავისი ცოდვა, სიმდაბლით აღიარა იგი ღვთის წინაშე და მამამაც სიხარულით მიიღო იგი და უთხრა: "ჩემი ვაჟი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა."

მსგავსად უძღები შვილისა, სამშობლოდან გაქცეულებმა დიდი ჭირი დაიტეხეს თავს და მათ მალევე შერცხვებათ თავისი საქციელის. სწორედ ისინი გახდნენ "ტრეფიკინგის" (ადამიანებით ვაჭრობის) მსხვერპლნი.

ტრეფიკინგის ერთადერთი ფორმა მარტო იძულებითი პროსტიტუცია არ არის. ესაა ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის არალეგალური შრომის ექსპლოატაციას.

თითოეული მოქალაქე, რომელსაც სურს საზღვარგარეთ მუშაობა, მიმართავს საქართველოში არსებულ ტურისტულ სააგენტოს ან საზღვარგარეთ დასაქმების საშუამავლო ფირმას. ვიზები, რომლებსაც ისინი იღებენ ამ ფირმებისაგან, ერთი ან სამთვიანია. სამი თვის შემდეგ ეს ადამიანი ხდება ქვეყნის არალეგალური სტუმარი, ანუ კრიმინალი. მას აიძულებენ აკეთოს ნებისმიერი შავი სამუშაო, ართმევენ ყოველგვარ საბუთს და არ აძლევენ სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობას. ამის უამრავი მაგალითია პრესაში მოყვანილი და მრავალიც ნაცნობ-მეგობრებისაგან გვაქვს მოსმენილი.

ტურისტული სააგენტო "შავი ცხენის" წარმომადგენელმა რამაზ ფირცხალავამ, დასაქმების მოტივაციით, ბულგარეთში, ესპანეთსა და აშშ-ში არალეგალურად გადაიყვანა ქართველი გოგონები, სადაც მათ არ დახვდნენ ადგილობრივი ქვეყნების აგენტები და ისინი აღმოჩნდნენ ტრეფიკინგის კლანჭებში. იმავე ფირმამ, მსგავსი მოტივით, ანალოგიური გზებით ესპანეთში 20-მდე ქართველი მოქალაქე გააგზავნა. სიტუაცია აქაც განმეორდა, მათ ადგილზე არ დახვდათ აგენტი. ისინი უპატრონოდ დარჩნენ ღია ცის ქვეშ.

ასეთივე გზით შეძლეს თაღლითებმა საქართველოდან მოცეკვავე გოგონების გაყვანა. მათ შეჰპირდნენ, რომ ამერიკაში, კერძოდ კი, მაიამის შტატში დაასაქმებდნენ ბავშვების მომვლელებად. გოგონები აგენტმა მიიყვანა დასაქმების სააგენტო "დორიდოში", სადაც ისინი გაამწესეს ერთ-ერთ ტრადიციულ სასტუმროში მეძავებად .

ასევე მოტყუებით წაიყვანეს თაღლითებმა გერმანიაში სწავლის მსურველთა ჯგუფი, რომლებიც ქუჩაში დატოვეს, თვითონ კი გაუჩინარდნენ. უმსგავსოების ამგვარმა ჯგუფმა თურქეთში გაიტყუა 30-მდე ქართველი ქალი და გოგონა. ყოველგვარი საბუთის გარეშე დარჩენილები, ისინი ჩააბარეს ბორდელში, თვითონ კი, წინა შემთხვევის მსგავსად, გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ.

ყველაზე ამაზრზენია ბავშვთა ტრეფიკინგი. უკვე რამდენიმე წელია, შეინიშნებოდა ქვეყნიდან დიდი რაოდენობით ბავშვის გადინება. იყო შემთხვევა, როცა ერთმა ქალბატონმა, ვითომცდა მკურნალობის მიზნით, მინდობილობით 20-ზე მეტი ბავშვი გაიყვანა უცხოეთში და დღეს მათი ბედი გაურკვეველია.

საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება არამარტო ყველაფრის საქმის კურსშია, არამედ ბევრი მაღალჩინოსანი უშუალოდაა გარეული ამ საქმეში. ეს ის ბინძური ადამიანებია, რომლებიც არავითარ პასუხს არ აგებენ თავიანთ ქმედებაზე. მაგრამ მოვა დრო და ეროვნული ხელისუფლება გამოამზეურებს იმ ჩინოვნიკთა საქმიანობას, რომლებმაც გაყიდეს არა მარტო ნახევარი საქართველოს ტერიტორიები, არამედ მისი უმთავრესი სიმდიდრე – მისი მოსახლეობა.

საქართველოში ტრეფიკინგის თემა ტაბუირებულია არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ დაზარალებულთა მხრიდანაც. ქართული ბუნებიდან და მენტალიტეტიდან გამომდინარე, არავინ ამხელს, თუ რა პირობებში ცხოვრობდა უცხოეთში. დაზარალებულები აცხადებენ, რომ ისინი არაფერს მოუყვებიან ახლობელ-მეგობრებს, რომლებიც ხვალ-ზეგ აპირებენ უცხოეთში გამგზავრებას. ერთი ქართველი გოგონა ამბობს: "მე ვერაფერს ვეტყვი ჩემს მეგობარს, თუ როგორ ვბანდი ყოველ 15 წუთში 80 წლის ამერიკელ მამაკაცს." მათი დუმილით მოტყუებული ახლობლები კი თვითონაც უცხოეთში სარფიანი შემოსავლის მოლოდინში მათ გზას ადგებოდნენ, ებადებოდათ წასვლის სურვილი.

გახსოვთ ალბათ. როგორი მონდომებით ატრიალებდა ტელეკომპანია "რუსთავი-2" თითქმის მთელი კვირა, თბილისში ვიზის ძალებად იძულებით ჩამოფრენილი, ქურქმოგდებული, გაბღენძილი ქალბატონის ბოლმით სავსე სიტყვებს: "აქ სიკვდილია და იქ სამოთხეო". ვფიქრობ, ძნელია ქართველის გადაგვარების უფრო საზარელი სურათის წარმოდგენა. როგორ შეიძლება "სამოთხე" ეწოდო ქვეყანას, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა დამნაშავეობის, შიდსისა და ნარკომანიის გავრცელების მიხედვით; ქვეყანა, რომელიც ფეხქვეშ თელავს ყველა დაწერილ და დაუწერელ კანონს და კიდევ მრავალი სხვა.

სამშობლოდან გაქცეული ხალხი უნდა დაბრუნდეს საქართველოში. ქართველთმოძულეებს სურთ, დაცალონ ქვეყანა ქართველებისაგან და განახორციელონ გეგმა – "საქართველო-უქართველებოდ", დაუკარგონ ქვეყანას სახელმწიფოებრიობა, გადააქციონ გაუკონტროლებელ დერეფნად. ამიტომაც დაშალეს ქართული ჯარი, მოშალეს საზღვრები, დააქუცმაცეს ქვეყანა, ქართველები კი გახიზნეს საზღვარგარეთ, რათა ამ ქვეყნის პატრონნი მოაქციონ რიცხობრივ უმცირესობაში და ბოლოს მთლიანად წაართვან სამშობლო, როგორც უმცირესობას.

ხუნტამ მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ, სადაც რამდენიმე ანტიეროვნული მუხლი "შეაპარა". კანონში წერია: "თუ საქართველოს მოქალაქე ორი წლის განმავლობაში ცხოვრობს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, არ გაივლის შესაბამის რეგისტრაციას და არ განაახლებს პასპორტს, მას ავტომატურად ერთმევა საქართველოს მოქალაქეობა." ამ კანონის მიღებით ხელისუფლებამ 600 ათასამდე ადამიანს დააკარგვინა საქართველოს მოქალაქეობა და მათი უმრავლესობა ტრეფიკინგის მსხვერპლი აღმოჩნდა.

სამშობლოდან გაქცეულო ქართველებო, გადაარჩინეთ თქვენი სული საუკუნო წარწყმედისაგან, დაბრუნდით თქვენს ლაზარე-საქართველოში, მიიღეთ მონაწილეობა მის აღდგომა-აღორძინებაში, იწამეთ უფალი და ის, რისთვისაც თქვენ ოკეანის გაღმა წახვედით, აქაც მოგეცემათ.

ქეთევან ხაბულიანი

"მრგვალი მაგიდის" წევრი

ვაკის რაიონის საკრებულოს დეპუტატი

**მთავარი რედაქტორის მინაწერი:**

გასულ კვირას ქუთაისში ჩამოასვენეს საბერძნეთში არალეგალურად მიმავალი რამდენიმე ქალის ცხედარი; ქალები ბულგარეთის მთებზე გადასვლისას გაიყინენ... თვითმხილველებმა ასევე თქვეს, რომ რამდენიმე კაცი, მათ შორის, და-ძმაც ბულგარეთის უფსკრულებში ჩაიჩეხნენ...

ნუთუ ველარ უნდა მივხვდეთ, დუხჭირი საქართველოდან გაცლას და სხვის მსახურად თუ მსხვერპლად ქცევას, საქართველოში დარჩენა და ცუდი პირობებისა თუ ამ სიდუხჭირის მიზეზის - არსებული უკანონო მთავრობის შეცვლისათვის ბრძოლა სჯობს!..

## საქართველოს უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის ბიმურზა აფრასიძის განცხადება

საქართველოს ე.წ. პარლამენტი უახლოეს პლენარულ სხდომაზე აპირებს 1919 წლის დამფუძნებელი კრებისა და 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრედ გამოაცხადოს თავი.

აღნიშულის შესახებ ვაცხადებ, რომ დემოკრატიულ საქართველოს პარლამენტის ერთადერთი სამართალმემკვიდრეა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რადგან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, უზენაესს საბჭოსა და მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერიათ (1918-21 წლების დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ანალოგიურად). შესაბამისად, საქართველოს უზენაესი საბჭო და მთავრობა დღესაც განაგრძობს არსებობას. რაც შეეხება 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალების შემდეგ «არჩეულ» ე.წ.პარლამენტებს, ისინი 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მოსული ხელისუფლების «სამართალმემკვიდრეები» არიან, რადგან 1992 წელსაც ე.წ. ხელისუფლება რუსეთის საოკუპაციო ძალების დახმარებით მოვიდა სათავეში და მათი მეშვეობით დღესაც უკანონოდ ინარჩუნებს ძალაუფლებას.

თბილისი, 2001 წლის 6 მაისი

## სოციოლოგიური კვლევა შევარდნაძისეულად

2001 წლის 25 აპრილს ე.წ. მთავრობის სხდომაზე ე.შევარდნაძემ "კანცელარიის" სოციოლოგიური კვლევის მასალებზე დაყრდნობით განაცხადა, თითქოსდა მოსახლეობის 70% მხარს უჭერდეს მინისტრთა კაბინეტის შექმნას, ე.ი. დღესაც იგი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნება-სურვილს ასრულებს (?!).

1993-1994 წლებშიც იგი – ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარე და "მისი სპიკერი" ამტკიცებდნენ, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა პურზე ფასების გაზრდას და საქართველოს დსთ-ში გაწევრიანებას. ამ ლოგიკით თუ გავაგრძელებთ, მივიღებთ, რომ პენსიონერები კმაყოფილნი არიან 14-ლარიანი პენსიით, პროფესორები 50-ლარიანი ხელფასით, მათხოვრები მათხოვრობით, საზღვარგარეთ ემიგრირებული მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე უცხოელთა მონობაში ყოფნით, მეანაბრეები – ანაბრებზე შენახული მილიარდების გაქრობით და ა.შ.

ზემოაღნიშნულ უზნეობას "პოლიტიკური ელიტა" ჩადის სოციოლოგიის გამოყენებით, მისი, როგორც მეცნიერების დისკრედიტაციით, სინამდვილის სურათის არნახული გაყალბებით, ცინიზმით, მოსახლეობის აბუჩად აგდებითა და მათთვის თვალებში ნაცრის შეყრით.

P.S. სიგუა, შევარდნაძე, იოსელიანი, კიტოვანი, მათი დაქირავებული სოციოლოგები და ჟურნალისტები ყოველ ღონეს ხმარობენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების არალეგიტიმურობის დასამტკიცებლად. ამისთვის ისინი ურცხვად აცხადებენ, რომ კანონიერ ხელისუფლებას მოსახლეობა მხარს არ უჭერდა და აუმხედრდა მას დემოკრატიული ამბოხის სახით. სინამდვილეში, ზვიად გამსახურდიას რეიტინგი ძალზე მაღალი გახლდათ, რომლის ნათელი დადასტურება იყო 1992 წლის 3 და 7 იანვრის, 1 და 2 თებერვლის 200-300 ათასიანი მიტინგები და მანიფესტაციები. დღესაც კანონიერი ხელისუფლების რეიტინგი ძალზე მაღალია და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შემთხვევაშიც მივიღებთ იგივე შედეგს, რაც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში მივიღეთ.

## საქართველოს სიყვარულით დაფერფლილი გული



ლევან დუმბაძე, პატრიოტი პოეტი... მან ლექსებით გამოხატა თავისი სიყვარული სამშობლოსადმი; იდგა იქ სადაც ჭეშმარიტი ქართველი უნდა იდგეს და თავისი სული მიაბარა ღმერთს იმ სავანეში, რომელსაც ჩვენი ეროვნული გმირის-მერაბ კოსტავას სული დღესაც დასტრიალებს...

***

შენი თვალები ჰგავს ცისფერ ყვავილს,
ჩემი თვალები ჰგავს შემოდგომას...
შენი დღეები ქარია უფრო, ჩემი დღეები
- უფსკრულთან დგომა..

და ყველაფერი მიდის ამგვარად
თავის წესით, თავისი რიგით...
მე სიყვარული ქარმა წამგვარა
და, რა თქმა უნდა, წავიდა იგი...

და ახლა უკვე არავის ვეძი...
და ახლა უკვე არვის ვეძახი...
შენ მაინც მოდი, თუმცადა სული
გაკრეფილია, როგორც ვენახი...

შემოდი, წამით გერქვას ნუგეში,
მე შეგეხები დაღლილი მზერით...
მერე შენ წახვალ, ასე რადგან
და ასეთია ცხოვრება მძელი...

შენი დღეები უფრო ქარი,
ჩემი დღეები - უფსკრულთან დგომა...
შენი თვალები ჰგავს ცისფერ ყვავილს,
თვალები ჩემი ჰგავს შემოდგომას...

1997 წელი.

***

"იქედნეთა ნაშობნო, ვინ შთაგაგონათ
მომავალი რისხვისგან გაქცევა?"
იოანე ნათლისმცემლის ქადაგებიდან.

ახლა რას იტყვით, მწიგნობარნო ფარისეველნო! სამშობლოს ბედის უსირცხვილოდ ფეხით მთრეველნო...

უცხო ტომისთვის მისასყიდად ოქროს დამთვლელნო, ვაი ქართველნო, ვითომ ქართველნო!..
მორჩა, გათავდა, გამყიდველნი თქვენ ხართ ივერთა, ნიღბები თქვენი საცოდავად ჩამოიღვენთა;
თქვენი სულები ისევ ეშმას ელაციცება, ეშმას ტალახში ისტება თქვენთვის "დიდება"...
გვაშოროს ღმერთმა შერიგება მტერთან, მსტოვართან და შეგინება მამა-პაპის დანატოვართა...

მამულო ჩემო! მერამდენედ უნდა ვიტირო, ან მერამდენედ ჩაქცეულო ჩემო ქვითკირო?!

ისარდაკრული ირემივით წევხარ ველობზე, ცრემლის გარეშე ვით "ვიმღერო" საქართველოზე?!.

1994 წელი.

## ინტერვიუ პოლიტიკურ ოპონენტთან

(დასაწყისი მე-5 გვერდზე)

- წმინდა კლასიკურ იურიდიული გაგებით ის არჩევნები, რა თქმა უნდა, უკანონო იყო, მაგრამ ჩემის მხრიდან მასში მონაწილეობაზე უარის თქმა, ჩემი საარჩევნო ოლქიდან შეიარაღებული ფორმირების რომელიმე წევრის გამარჯვებას მოასწავებდა. და კიდევ ერთი: თუკი იმ არჩევნებს მე და სხვა ჩემნაირი პიროვნებები ბოიკოტს გამოვუცხადებდით, მაშინ მთელი პარლამენტი "მხედრიონელებითა" და გვარდიელებით შეივსებოდა. ჰოდა, წარმოიდგინეთ, ამას რა მძიმე და წარმოუდგენელი შედეგები მოჰყვებოდა. ძმათა სისხლში ხელებგასვრილ ავტომატიანებს დეპუტატების მანდატებს ჯიბეებში ვუდებდით.

*- მაგრამ, თქვენგან დასახელებული არსებები ხომ მაინც გადეპუტატდნენ?*

- ეს ძალიან ცოტამ შეძლო. "მხედრიონს" მხოლოდ სამი კაცი ჰყავდა. შეიძლება ავტომატებიანებმა ბლომად ვერ შეაღწიეს "პარლამენტში" და ისიც შეიძლება, შევარდნაძეს არც აწყობდა ამგვარი "დეპუტატების" სიმრავლე, რადგან ეს ყველაფერი ძალზე ხმამაღლა იყვირებდა... შევარდნაძე მაშინ მდგომარეობას ვერ აკონტროლებდა, მაშინ ის ნამდვილი "ხელის ბიჭი" იყო. ამისი მოწმე პირადად გახლავართ. საკადრო პოლიტიკა სამეულს მიჰყავდა: მინისტრების, გამგებლების დანიშვნა, ყველანაირი გადაწყვეტილების მიღება, მათი ნება იყო.

*- სამეულს თავის მხრივ ვინა მართავდა, რუსეთი?*

- რუსეთიც და ხომ ცნობილია, რომ გადატრიალება დასავლეთის უდიდესი მხარდაჭერით განხორციელდა... მინდა ვთქვა, რომ იმ ტრაგიკულ დროს, თუნდაც ერთი საპროტესტო განცხადებაც კი რომ გაკეთებულიყო პარიზში, ბონში, ვაშინგტონში ან თვით მოსკოვში, თუნდაც ანკარაში, უმალ ყველაფერი დამთავრდებოდა. ვერავინ ვერაფერს გაბედავდა და ჩვენ დღეს ამ დღეში არ ვიქნებოდით.

*- და ეს ყველაფერიც, ასე ვთქვათ, სარჩული და წინაპირობა გახდა უკანონო არჩევნებში თქვენი მონაწილეობის აუცილებლობისა?*

- რასაკვირველია. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩემს მაგივრად იქ ცუდი ძალა არ მისულიყო.

*- ისე რომ, უკანონო პარლამენტის დეპუტატი საკომპენსაციო სიებით გახდით არა?*

- არა. საკმაოდ დიდი უპირატესობით გავხდი მაჟორიტარი დეპუტატი. საკომპენსაციო სიით რომ გავმხდარიყავი, აუცილებლად რომელიმე პარტიის წევრი უნდა ვყოფილიყავი.

*- ბატონო შალვა, უკანონო არჩევნების ჩატარების დროს ბევრ სხვა დარღვევებთან ერთად, მაშინ საქართველოში გამოცხადებული იყო კომენდანტის საათი. ამას ადასტურებს უკანონოთა მაშინდელი პრესა. უცხოეთმა ამაზეც დახუჭა თვალები, ესეც ჩაყლაპა. თქვენ როგორ განგვიმარტავთ ამას?*

- კომენდანტის საათი მაშინ საქართველოს მხოლოდ ცალკეულ კუთხეებში იყო გამოცხადებული: თუ არა ვცდები, აფხაზეთში, რადგან იქ უკვე დაწყებული იყო გაგრის ტრაგედია და ალბათ, სამეგრელოში. მაგრამ მთლიანად საქართველოში იგი გამოცხადებული არ ყოფილა. ამას გარდა, რადგან კონსტიტუცია გააუქმეს და ამით დიდი სისულელეც ჩაიდინეს, ის განიმტკიცეს, რომ კომენდანტის საათის დროს არჩევნების ჩატარების აკრძალვის კანონი და მიზეზი მოისპეს. მაშასადამე, ამ მხრივაც მათ ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდათ.

*ჩვენი კომენტარი: დიახ, ყველაფერი გააკეთეს, "არჩევნები" კანონისა და ყველანაირი ნორმატივების უხეში დარღვევებით ჩაატარეს. და რაც მთავარია, მასში მონაწილეობა არ მიიღო ქვეყნის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა. ხუნტის მონაცემები კი საპირისპიროს ამტკიცებენ: თურმე საარჩევნო ყუთებში სწორედ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ჩაუყრია ბიულეტენები?!*

*- ასეა თუ ისე, "არჩევნები ჩატარდა" და მალევე იურიდიული კომისიის თავმჯდომარე გახდით. საინტერესოა, თქვენნაირი შეხედულებებისა და აზრის მქონე სხვა პიროვნება თუ მოისურვებდა დასახელებული თანამდებობის დაკავებას?*

- დათანხმდებოდა კი არა, მსურველთა ცვენა იყო და რამდენიმე ტური გავიარეთ, ასე ვთქვათ, ღირსეულის გამოსავლენად. დათანხმდებოდა იმიტომ, რომ იგი საკმაოდ მაღალი თანამდებობა

### შალვა ნათელაშვილი: "თავისუფლად შემეძლო გავხულიყავი დიპლომატიურ არენაზე რუსეთის სახელით..."

გახლდათ, რომლის თავკაცსაც ძალზე სერიოზულ და მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე უნდა ემუშავა. სამაგალითოდ თუნდაც იმას დაგისახელებთ, რომ იარაღზე კანონის მიღების შემდეგ მოვახდინეთ შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება, თანაც მათივე მონაწილეობით. ამ კანონის განხილვა ექვსი თვე გრძელდებოდა პარლამენტში. აი, მარტო ეს რომ გამეკეთებინა, დამერწმუნეთ, მარტო ამისთვის ღირდა დეპუტატობა.

არ ვიცი გახსოვთ თუ არა, რომ პრეზიდენტის მაშინდელი დეკრეტით ნებადართული იყო ავტომატის ტარება და დადიოდნენ კიდევაც ქუჩებში ავტომატიანები. იგი მე ავკრძალე.

*- კიდევ რა გააკეთეთ?*

- მივიღეთ მოქალაქეობის კანონი. ბატონმა ზვიადმა ამისი გაკეთება ვერ მოასწრო. მივიღეთ ემიგრაციისა და მიგრაციის კანონები, საპარლამენტო კანონმდებლობა, კანონები ფრაქციებისა და კომისიების შესახებ, პარლამენტის რეგლამენტი, ყველაფერი, რასაც სახელმწიფო სამართალი ჰქვია. სწორედ ამაზე დგას საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობა. მაშინდელი პარლამენტის მიერ მიღებული კანონების 82% ჩვენმა კომისიამ შეიმუშავა და გააკეთა. სხვათაშორის, მაშინ არც გრანტები შემოდიოდა, არც უცხოელი ექსპერტები გვყავდნენ, როგორც ეხლა ამათა ჰყავთ. არც ერთი პარტია იყო ისეთი, რომელთანაც გარანტირებული გვექნებოდა კანონის გატანა, ოცდაექვს პარტიასთან ამისი გაკეთება ძალზე ძნელი იყო. ისე რომ, მაშინდელ იმ მონაკვეთს, ჩემი ცხოვრების ურთულეს პერიოდად ვაღიარებ. დაბოლოს, დავამთავრეთ კონსტიტუციით. ავი იყო თუ კარგი, კონსტიტუცია მაინც შეიქმნა და ადამიანთა უფლებები მაინც დაფიქსირდა იმ ზოგად თავში, რომლითაც ჩვენ ეხლა ვებრძვით ამ ხელისუფლებას ევროსაბჭოს სასამართლოში.

*- ბევრი კი გიშრომიათ და გაგიკეთებიათ, მაგრამ ყველაფერ ამას ხომ არა თელით შევარდნაძის მაშინდელი დიქტატურული რეჟიმის ნებაყოფლობით განმტკიცებად და მხარდაჭერად?*

- ჩემი მოღვაწეობა, ჩემს მიერ გამოტანილი კანონები მიმართული იყო იქით, რომ საქართველოში დამთავრებულიყო მრავალპრეზიდენტიანობა. მაშინ, ფაქტიურად, შევარდნაძე, ჯ.იოსელიანი, კიტოვანი და სიგუა პრეზიდენტები იყვნენ. ეს მოისპო და დამთავრდა. დასრულდა შეიარაღებული ფორმირებების თარეში. ყველაფერ ამის ბაზაზე დაწყებული იყო სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა და ეროვნული შერიგება. როცა კარგი საკანონმდებლო ბაზა არსებობს, ეროვნული შერიგება უზრუნველყოფილია. და რაც მთავარია, მიღებული უნდა ყოფილიყო კონსტიტუცია – ქვეყნის ძირითადი კანონი. თუმცა, მარტო მიღება არ ნიშნავს საქმის გაკეთებას. საჭიროა მისი გამამაგრებელ-გამამრთელებელი კანონების მიღება, რომლებიც კონსტიტუციას აამოქმედებენ. სამწუხაროდ, ამათ კონსტიტუცია არ განავითარეს და შევარდნაძის ღია, გაშიშვლებული დიქტატურის პირობებში აღმოვჩნდით. ამიტომაც არ მომეცა საშუალება, შემდგომშიც გამეგრძელებინა იურიდიული კომისიის თავმჯდომარეობა.

*- ე.ი. მეორე ვადით აღარ აგირჩიეს იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ?*

- დიახ, ასე იყო. განმიცხადეს, რომ არა ხარო მმართველი პარტიის წევრი და თავისუფალი ბრძანდებიო.

*- ბატონო შალვა, ჩემს შეკითხვაზე მაინც არ მიპასუხეთ. კი, ბევრი გააკეთეთ, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ შევარდნაძის დიქტატორული რეჟიმის მხარდაჭერასა და განმტკიცებას ემსახურა? ფაქტიურად, თქვენმა შემოღებულ-მიღებულმა კანონებმა არ იმუშავეს.*

- ვერ დაგეთანხმებით, რადგან იმ კანონებმა იმუშავეს, მაგრამ არა უპირატესი ბალანსით. ამისი მიზეზი კი ის გახდა, რომ არ გაგრძელდა ის კურსი, რომელიც ჩვენა გვქონდა აღებულ-დაწყებული. საინტერესო მოდელი კი გვქონდა დაწყებული, რომელიც ეროვნულ შერიგებასაც გამოიწვევდა, მაგრამ ამაზე უკვე აღარავინ იმუშავა. მაშინ ისინი გრანტებისა და კრედიტების ჩაჯიბვასა და დიქტატურის დამყარებას ესწრაფოდნენ. ამაში კი მე ბრალი არაფერი მიმიძღვის.

*- ბატონო პარტიის თავმჯდომარევ, კვლავ გადატრიალების შემდგომ შავსა და ტრაგიკულ პერიოდს მინდა მივუბრუნდე. მძიმეა და შემზარავი ყველაფრის გახსენება, მაგრამ ძირითადზე ვიტყვი: მაშინ ხუნტა სასტიკად, არაადამიანურად არბევდა და ხვრეტდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მომთხოვნთა მრავალრიცხოვან მიტინგებსა და მანიფესტაციებს. აპატიმრებდნენ ადამიანებს, აწამებდნენ, იხოცებოდა ხალხი, სამსახურებიდან ათავისუფლებდნენ ბატონ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს. ზედმეტია ადამიანის უფლებების დაცვაზე ლაპარაკი. თქვენი კომისია რას მოიმოქმედებდა მაშინ? არ გამოთქვამდით პროტესტს მოძალადეთა იმ ავკაცობის კანონის ძალით აღსაკვეთად?*

- ჩვენს მაშინდელ იურიდიულ კომისიას, დღევანდელ პარლამენტში არსებულ იურიდიულ კომიტეტისაგან განსხვავებით, არ ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოების კონტროლის უფლება. ჩვენ მხოლოდ კანონების წერის უფლებას გვაძლევდნენ. იმ ორგანოებს მაშინ შევარდნაძე, იოსელიანი, კიტოვანი და სიგუა აკონტროლებდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

უხელფასობისა და უპენსიობის ფონზე საქართველო წალეკა ფეშენებლურმა რესტორნებმა. როგორც წესი, მათი რეალური მფლობელები არიან ფაქტობრივი ხელისუფლების ადგილობრივ თუ ცენტრალურ სტრუქტურებში მოკალათებული ე. წ. ელიტჩინოვნიკები...

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს სახელმწიფო ხაზინის ფლანგვის ხარისხი რეგიონების მიხედვით (ამჟამინდელი ხელფასით მცხოვრები ჩინოვნიკი ხომ რესტორანს ვერც ააშენებს და ვერც მოიხმარს!)...

**რესტორნების ბრუნვის მოცულობა რეგიონების მიხედვით 2001 წლის იანვარ-თებერვალში (1000 ლარი)**

| | სულ | მ.შ. სექტორების მიხედვით | | შემოს. ზრდა % 2000წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| | | სახელმწიფო | არასახელმწიფო | |
| საქართველო სულ | 6 072,3 | 66,9 | 6005,4 | 106,5 |
| მათ შორის: | | | | |
| ქ.თბილისი | 2 813,7 | 26,9 | 2 786,8 | 107,6 |
| აფხაზეთის არ | - | - | - | . |
| - | | | | |
| აჭარის არ | 579,3 | 20,7 | 558,6 | 103,4 |
| ქ.ბათუმი | 503,9 | 20,3 | 483,6 | 99,9 |
| ქედის რაიონი | 3,4 | - | 3,4 | 96,8 |
| ქობულეთის რაიონი | 10,9 | 0,4 | 10,5 | 90,5 |
| შუახევის რაიონი | 0,9 | - | 0,9 | 40,8 |
| ხელვაჩაურის რაიონი | 56,0 | - | 56,0 | 190,5 |
| ხულოს რაიონი | 4,2 | - | 4,2 | 47,6 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე | 244,8 | 1,0 | 243,8 | 79,8 |
| აბაშის რაიონი | 3,8 | - | 3,8 | 86,1 |
| ზუგდიდის რაიონი | 155,4 | 0,3 | 155,1 | 95,9 |
| მარტვილის რაიონი | 2,0 | - | 2,0 | |
| 166,1 | | | | |
| მესტიის რაიონი | - | - | - | - |
| სენაკის რაიონი | 14,3 | - | 14,3 | 94,4 |
| ჩხოროწყუს რაიონი | 3,8 | - | 3,8 | 71,5 |
| წალენჯიხის რაიონი | 2,0 | - | 2,0 | - |
| ხობის რაიონი | 5,4 | - | 5,4 | 168,2 |
| ქ. ფოთი | 58,1 | 0,7 | 57,4 | 50,4 |
| გურიის მხარე | 57,8 | - | 57,8 | 101,4 |
| ლანჩხუთის რაიონი | 7,3 | - | 7,3 | 70,6 |
| ოზურგეთის რაიონი | 44,7 | - | 44,7 | 100,1 |
| ჩოხატაურის რაიონი | 5,8 | - | 5,8 | 289,1 |
| იმერეთის მხარე | 726,9 | 16,6 | 710,3 | 99,9 |
| ქ.ქუთაისი | 454,9 | 14,1 | 440,8 | 102,0 |
| ქ.ტყიბული | 5,5 | - | 5,5 | 195,8 |
| ქ. წყალტუბო | 11,5 | 0.2 | 11,3 | 81,3 |
| ქ. ჭიათურა | 6,1 | - | 6,1 | 253,4 |
| ბაღდათის რაიონი | 7,7 | - | 7,7 | 101,0 |
| ვანის რაიონი | 4,9 | - | 4,9 | 287,3 |
| ზესტაფონის რაიონი | 127,2 | 2,3 | 24,9 | 74,7 |
| თერჯოლის რაიონი | 3,4 | - | 3,4 | 147,4 |
| სამტრედიის რაიონი | 48,2 | - | 48,2 | 177,9 |
| საჩხერის რაიონი | 9,9 | - | 9,9 | 159,2 |
| ხარაგაულის რაიონი | 44,6 | - | 44,6 | 100,4 |
| ხონის რაიონი | 3,0 | - | 3,0 | 135,9 |
| რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე | 5,3 | - | 5,3 | 139,0 |
| ამბროლაურის რაიონი | 4,5 | - | 4.5 | 131,9 |
| ლენტეხის რაიონი | - | - | - | - |
| ონის რაიონი | 0,8 | - | 0.8 | 199,4 |
| ცაგერის რაიონი | - | - | - | - |
| შიდა ქართლის მხარე | 459,0 | - | 459,0 | 123,7 |
| ქ.ცხინვალი | - | - | - | - |
| გორის რაიონი | 129,5 | - | 129,5 | 108,9 |
| კასპის რაიონი | 3,4 | - | 3,4 | 50,6 |
| ქარელის რაიონი | 17,6 | - | 17,6 | 86,4 |
| ხაშურის რაიონი | 308,5 | - | 308,5 | 137,0 |
| ჯავის რაიონი | - | - | - | - |
| მცხეთა - მთიანეთის მხარე | 515,2 | - | 515,2 | 112,5 |
| ახალგორის რაიონი | 4,2 | - | 4,2 | 299,0 |
| დუშეთის რაიონი | 57,4 | - | 57,4 | 204,3 |
| თიანეთის რაიონი | - | - | - | - |
| მცხეთის რაიონი | 228,6 | - | 228,6 | 105,4 |
| ყაზბეგის რაიონი | 225,0 | - | 225,0 | 106,4 |
| კახეთის მხარე | 79,8 | - | 79,8 | 108,5 |
| ახმეტის რაიონი | 6,2 | - | 6,2 | 110,4 |
| გურჯაანის რაიონი | 25,8 | - | 25,8 | 147,8 |
| დედოფლის წყაროს რაიონი | 1,0 | - | 1,0 | 83,1 |
| თელავის რაიონი | 26,5 | - | 26,5 | 73,4 |
| ლაგოდეხის რაიონი | 17,2 | - | 17,2 | 225,6 |
| საგარეჯოს რაიონი | 1,6 | - | 1,6 | 46,9 |
| სიღნაღის რაიონი | 0,8 | - | 0,8 | 113,9 |
| ყვარლის რაიონი | 0,7 | - | 0,7 | 49,8 |
| ქვემო ქართლის მხარე | 414,4 | 1,7 | 412,7 | 108,1 |
| ქ. რუსთავი | 64,3 | 1,7 | 62,6 | 135,5 |
| ბოლნისის რაიონი | 25,6 | - | 25,6 | 123,9 |
| გარდაბნის რაიონი | 12,5 | - | 12,5 | 143,2 |
| დმანისის რაიონი | 6,0 | - | 6,0 | 106,8 |
| თეთრიწყაროს რაიონი | 0,3 | - | 0,3 | 74,8 |
| მარნეულის რაიონი | 305,0 | - | 305,0 | 102,0 |
| წალკის რაიონი | 0,7 | - | 0,7 | 58,1 |
| სამცხე-ჯავახეთის მხარე | 176,1 | - | 176,1 | 122,4 |
| ადიგენის რაიონი | - | - | - | - |
| ასპინძის რაიონი | 0,1 | - | 0,1 | - |
| ახალქალაქის რაიონი | 0,5 | - | 0,5 | 83,1 |
| ახალციხის რაიონი | 147,4 | - | 147,4 | 132,0 |
| ბორჯომის რაიონი | 26,1 | - | 26,1 | 88,2 |
| ნინოწმინდის რაიონი | 2,0 | - | 2,0 | 99,7 |

## მრუდე სარკე და სინამდვილე

**მრუდე სარკე**

აკაკი ასათიანი: "ამომრჩეველი არ შეცდა რადგან ზვიად გამსახურდია დამოუკიდებლობის მედროშე იყო და ამიტომ მას დაუჭირა მხარი... შევარდნაძეში ქვეყნის მომწესრიგებელი დაინახეს და ამიტომ დაუჭირეს მხარი, ამით მოსახლეობა არ შეცდა" ("ღამის კურიერი")

**სინამდვილე**

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს მოსახლეობას ნანატრი თავისუფლების ყველა იურიდიული საფუძველი რომ შეუქმნა, აშკარაა; რაც შეეხება შევარდნაძის "მოწესრიგებულ" საქართველოს, მასზე საუბარი მხოლოდ ამ ბოლო წლებში სახელმწიფოს ხარჯზე გამდიდრებულთ შეუძლიათ...

---

**მრუდე სარკე**

ედუარდ შევარდნაძე: " ქვეყნის განვითარებას ძალიან სერიოზულად ხელს უშლიან და ამუხრუჭებენ ქვეყანაში გამეფებული კლანები" (პარლამენტში გამოსვლის ტექსტიდან)

**სინამდვილე**

საქართველოს ანადგურებენ შევარდნაძის ფრთებქვეშ შეფარებული კლანები.

---

**მრუდე სარკე**

დავით სალარიძე: "ჩვენ, თბილისლები, მზად ვართ წინ გავუძღვეთ იმ დევნილებს, ვინც ყოველდღე სახლში დაბრუნებას ელოდება"(ახალი თაობა)

**სინამდვილე**

- აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენისა და კანონის გარშემო ქართველთა გაერთიანების შემდეგაა შესაძლებელი.

დავით სალარიძის მსგავსი პოპულიზმით უკანონო ხელისუფლება აგერ უკვე ცხრა წელია იბრუნებს აფხაზეთს... "თბილისელთა" ამგვარი წინგაძღოლით ქართველობამ ერთხელ უკვე კარგად დალია ფსოუს წყალი!

მკითხველებს დიდ ბოდიშს ვუხდი იმ დიდი შეცდომებისათვის, რომელიც გავიდა ჩემი პასუხის-მგებლობით დაბეჭდილ ნომერში.
გაზეთ "ქუჯის" მეთერთ-მეტე ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი
გიორგი აფრიდონიძე

წმიდა გიორგის დღისადმი მილოცვა უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

## გიორგობას გილოცავთ, გეორგიანებო

ტყვეთა განმათავისუფლებელო, და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო, და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.
ამინ!"

---

## პატივცემულო მკითხველო!

გაზეთი "ქუჯი" საქართველოს მთელს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ზ ე ვრცელდება; მისი შეძენა შეგიძლიათ ჯიხურებში, ასევე, შ ე გ ი ძ ლ ი ა გამოიწეროთ გაზეთი "ქუჯი" უახლოეს ს ა ფ ო ს ტ ო განყოფილებაში.

"ქუჯის" რედაქცია



- "შევარდნაძეს ყვანიაზე უკეთესი დასაყრდენი არ ჰყავს, ის მას არ გასწირავს"
ირაკლი მელაშვილი "კვირის პალიტრა" №20



-"ჩვენ ვებრძვით კორუფციას, არის დადებითი ძვრები, აღმავლობა..."
ე.შევარდნაძის გამოსვლიდან

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ტარიელ ფუტკარაძე

რედაქტორთა საბჭო:
მანანა ტაბიძე (დისკუსია), ლელა ხაჭაპურიძე (საზოგადოება), ეკა დადიანი (მეცნიერება), ონისე ბანძელაძე (ლიტერატურა), ილია ჭრელაშვილი (მხატვრობა), გიორგი აფრიდონიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი)

რედაქციის მისამართი
ქუთაისი, კუპრაძის 32
ტელ: (8-231) 21603,
(8-22) 221587, (877) 47.69.30
ელ. ფოსტა : kuji@posta.ge

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში
N12\5\3-4818